

**გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის განცხადება**  
დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 18-23 გრადუსი სითბო. ღვლის წულის ტემპერატურა 17 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 763 მილიმეტრი.  
ხვალ დამთი მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, მომდევნო 2 დღეს - უნალექო ამინდი.

# „როგორც უნდა მოვახერხოთ ერთმანეთთან საუბარი“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

აჭარის საკანონმდებლო ორგანოში პლენარულ სხდომაზე, „მინისტრის საათის“ ფარგლებში აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრ მაია ხაჩიშვილის მოუსმინეს. სხდომას არ ესწრებოდნენ ობიექციური პარტიის დეპუტატები, რომლებიც ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, ბოიკოტის რეჟიმზე არიან გადასულები

სანამ მინისტრი უწყების მიერ 2023 წელს განხორციელებულ საქმიანობას შეაჯამებდა და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ თუ საგანმანათლებლო პროექტებზე ისაუბრებდა, დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ფორმატით ისარგებლეს და განცხადებები გააკეთეს. მათ საქართველოში მიმდინარე აქციებზე გაამახვილეს ყურადღება. თითოეულმა გამოხატულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო არ გადაუხვევს იმ ევროპულ გზას, რაც კონსტიტუციით უკვე არის განსაზღვრული. რაც შეეხება „უცხოური გაფლენის შესახებ გამჭვირვალობის კანონს“, რომელიც პარლამენტმა მესამე მოსმენით დაამტკიცა, მათივე მტკიცებით, არაფერი აქვს საერთო რუსულთან.

რუსეთი რომ აგრესორია, ყველა ვთანხმდებით. მე არც ის საქართველო მინდა, სადაც რუსეთია და არც ის საქართველო, სადაც სხვადასხვა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს ჩემს შიდა საქმეებში. ვერაფერს უნდა გვიკრძალებდეს, მივიღოთ ის კანონი, რომელიც 4 წლით არჩეულ საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ არის სწორი. გვაცადონ, თავად გადაწყვიტონ ჩვენი ქვეყნის ბედი. ჩვენ გვინდა პარტნიორობა ამერიკასთანაც, ევროპასთანაც, მაგრამ გვინდა თავისუფალი პარტნიორობა და არა მათი მხრიდან უხეში ჩარევები, - განაცხადა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ვლადიმერ მაგლობლიშვილმა.

დეპუტატების თქმით, ახალგაზრდები, რომლებიც საქართველოს მასშტაბით აქციებს ატარებენ, შეცდომაში არიან შეყვანილი. სხვადასხვა ობიექციური პარტია იყენებს მათ. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძის განცხადებით, აუცილებელია კანონის მომხრე და მოწინააღმდეგე მხარე დასხდეს მოსალაპარაკებლად, რადგან სხვა შემთხვევაში, ქაოსი და დაბრისპირება ქვეყანას დააზიანებს.

ერთადერთი, რაშიც გულწრფელად ვგრძნობ თავს დამნაშავედ არის ის, რომ ჩვენ ახალგაზრდებს არ ვესაუბრებთ და არც ახლა ვესაუბრებთ. ჩვენ დავტოვეთ სივრცე და ეს სივრცე დაიკავა ვიღაც სხვამ. აქციებზე ძალიან ბევრი გულწრფელი ახალგაზრდაა, მაგრამ ვერ დავიბრმავებთ თავს და ვხედავ, რომ წინა პლანზე არიან სხვადასხვა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელები. გულწრფელად გითხრათ, არც მათზე ვგრაზდები, რადგან მათ ნახეს სივრცე და გამოიყენეს თავიანთი მიზნებისათვის. ვფიქრობ, რაღაცეები საკუთარ თავშიც გადასაფასებელი გვაქვს. აქამდეც რომ დათმობაზე არ მივდიოდით ქართველები და კიდევ ასე ვაგრძელებთ, იმიტომ გვჭირს ის, რაც გვჭირს. როგორმე უნდა მოვახერხოთ ერთმანეთთან საუბარი, - განაცხადა დავით გაბაიძემ.

„ქართული ოცნების“ დეპუტატებმა ისაუბრეს იმაზეც, რომ აქციებში არ უნდა მომხდარიყო სკოლის მოსწავლეების ჩართვა და მოუწოდეს მშობლებს, დარეკონ განათლების სამინისტროს ცხელ ხაზზე, გამოავლინონ ის მასწავლებლები, რომლებიც სკოლის მოსწავლეებს ესაუბრებინან პოლიტიკაზე


და აქეზებენ, უარი თქვან სასწავლო პროცესზე და შეუერთდნენ აქციებს.

- ნუ წაართმევენ ვიღაცები ამ ბავშვებს ბავშვობას, თავი დაანებეთ მათ. არცერთი „ქართული ოცნების“ წევრი არ დადის სკოლებში და თითქოს ბავშვებს პოლიტიკაზე არ ესაუბრება. „ნაციონალი“ ბედავობები, ვინც ამას კადრულობს სამარცხვინოვია, - აღნიშნა ვლადიმერ მაგლობლიშვილმა.

პოლიტიკური განცხადებების შემდეგ, ჩვეული რეჟიმის მიხედვით დაიწყო „მინისტრის საათი“. მაია ხაჩიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ პროგრამებზე,

სურზე.

ვისაუბრეთ უკვე განხორციელებულ პროექტებზე, მიმდინარე წელს დაგეგმილ სიახლეებზე. უნდა აღვნიშნო, რომ ეს პლატფორმა იძლევა შესაძლებლობას, დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას იმაზე, თუ რა პრიორიტეტებია განათლების, ახალგაზრდობის, ჩვენი ხელოვნებისა და სპორტსმენების მხარდაჭერის მიმართულებით. ასევე, დეტალურად ვისაუბრეთ კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის და განვითარების მიმართულებით არსებულ პროგრამებზე, სასკოლო ცხოვრებაში უფრო მეტ უსაფრთხოებაზე, ინკლუზიური განათლების მეტ მხარდაჭერაზე. საუ-



რომლებიც გულისხმობს მასწავლებელთა მხარდაჭერას, განათლების ხელმძღვანელების ზრდასა და ინკლუზიურობას.

აღნიშნა ისიც, რომ საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებაა. მისივე ინფორმაციით, 2023 წელს დასრულდა №3 საჯარო სკოლის მშენებლობა და 40 სკოლის სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია. როგორც მინისტრმა განმარტა, უწყებისთვის მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის მოწყობის პარალელურად, სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა ინტერესების, უნარების რეალიზებისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, ასევე, მასწავლებელთა ხელშეწყობა და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. მინისტრის განცხადებით, ყოველწლიურად მზარდია განათლების დაფინანსება, შესაბამისად, იმ პროექტების და პროგრამების მხარდაჭერა, რომელიც ხორციელდება ჩვენს რეგიონში, ყველა მუნიციპალიტეტში, განათლების ყველა საფე-

ბარი ასევე შეეხო ეროვნული სასწავლო გეგმების და ზოგადად, ახალი ხედვების შესაბამისად სახელმძღვანელოებში გარკვეული სიახლეების გათვალისწინებას. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება ის მოსაზრებები და შენიშვნები, რომელიც დღევანდელ სხდომაზე გამოითქვა, - აღნიშნა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა.

მაია ხაჩიშვილმა კომენტარი გააკეთა აქციებში მოსწავლეების ჩართულობასთან დაკავშირებით. მინისტრის თქმით, გამოხატვის თავისუფლება უზრუნველყოფილია მათი ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ის ფორმა, რომელიც სასკოლო პროცესის ჩაშლისკენა მიმართული, მინისტრის თქმით, არ არის მისაღები.

აჭარის უმაღლესმა საბჭომ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მაია ხაჩიშვილის მოხსენება ცნობად მიიღო.

## კანონი დამტკიცებულია, საზოგადოების აზრი კი ორად გაყოფილი

## «უნდა დასრულდეს საზოგადოების პოლიტიკური ნიშნით დაყოფა»

ISSN 2720-8702  
9 772720 870003

### გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.  
გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

კანონი დამტკიცებულია, საზოგადოების აზრი კი ორად გაყოფილი

თამარ ლამაზაძე 595 85 80 06

ჩვენს ქვეყანაში ბოლო მოვლენებს თუ თვალს გადავავლებთ, შეიძლება ითქვას, რომ „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონისადმი პროტესტის ტალღა პიკში შევიდა - ათათასობით მოწინააღმდეგე რუსთაველის გამზირზე, სტუდენტების გაფიცული ნაწილი, რომლებსაც ლექტორებიც შეუერთდნენ, გაფიცული სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები... აღნიშნული კანონი მთავრობამ შესაბამის მხარეს მიიღო, თუმცა, ცხადია, პროცესი ამით არ სრულდება, რადგან მას ჯერ საქართველოს პრეზიდენტის გეტო ელოდება



ამ ყველაფრის ფონზე გარკვეული საფრთხეებიც გამოიკვეთა, რადგან განსხვავებული აზრის მიუღებლობა მოქალაქეებსაც ისევე უპირისპირებს ერთმანეთს, როგორც დეპუტატებს. სამწუხაროდ, განსხვავებული პოზიციის გამო ქართველი ქართველს ლანძღავს, აგინებს, ურტყამს და რაც ალბათ ყველაზე სამწუხაროა, მონას და რუსს ეძახის.

გერც ჩვენი სპორტსმენები გადაურჩნენ ბულინგს საკუთარი აზრის გამოხატვის გამო. ბულინგის მსხვერპლნი გახდნენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც თქვეს, რომ კანონი რუსულია და ისინიც, რომლებმაც არ თქვეს, ან თქვეს, მაგრამ არა ისეთი სიტყვებით, როგორც რადიკალებს სურდათ. ერთ-ერთ მაგალითად უნიჭიერების ხვირა კვარაცხელია მინდა მოვიყვანო. მან თქვა, რომ ჩვენ ვიმსახურებთ, ვიყოთ ევროპის ნაწილი და ამაში ხელი არაფერმა უნდა შეგვიშალოს და არა ყველაფერ მის, რაც ერთმანეთს გვაპირისპირებსო, თუ-

აკეთებდა. რადიკალური მიდგომები ძალიან შეუსაბამოა მოვლენების სწორად აღქმისთვის, ძალადობის დაგმობა კი ვფიქრობ, ყველა შემთხვევაში უნდა შეგვეძლოს.

როგორც მოგესხებათ, სტუდენტები ქვეყნის უდიდეს ძალას წარმოადგენენ, მათი სიტყვა და ქმედება შეუმჩნეველი ვერ დარჩება. როგორც ისინი აცხადებენ, სანამ მმართველი გუნდი კანონს უკან არ გაიწვევს, მანამ გააგრძელებენ გაფიცვას და არ დაესრულებიან ლექციებს, საპასუხოდ კი საქართველოს 38-მა უნივერსიტეტმა ერთობლივად განცხად-

მხოლოდ ერთმანეთის ლანძღვა-გინებისა და ხანდახან თავში ჩატყუპუნების ხმა ისმის. დანონსებული ყოველდღიური პროტესტის, ლექციებისა თუ გაკვეთილების გაცდენის ფონზე რა პროცესები განვითარდება საკანონმდებლო ორგანოში, ეს ჯერ უცნობია.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს და ზოგადად, მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი ილია გერძაძე და ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ არც კანონია რუსული და არც ხელისუფლება.



ბმა სულ მალე ევროპის ჩემპიონატზე უნდა ითამაშონ და მათზე მიყენებულ მორალურ ზიანს რომ ებრძოლონ, ამის დრო არ აქვთ. თუ ოდნავ მაინც დაფიქრდებით, მივხვდებით, რომ ამ ყველაფრით რუსეთისთვის ხელსაყრელ საქმეს თავად ვაკეთებთ. კრემლში მყოფები ალბათ პოპკორნით ხელში სხედან ტელევიზორების წინ და ჩვენს ურთიერთდაპირისპირებებსა და ურთიერთსიძულვილს როგორც სანტერესო და სასიამოვნო ფილმს, ისე უყურებენ, ვინ იცის, იქნებ აპლოდისმენტებითაც გვამკობენ.

თუ სამართლიანობაზე პრეტენზია გვაქვს, ცხადია, უნდა ვთქვათ, რომ ქუჩაში სპეცრაზმელის მიერ ახალგაზრდის დაუნდობლად ცემა და შეურაცხყოფა ადამიანობისგანაც შორსაა და პროფესიული უფლებამოსილებ-

ება გავაგრძელო, რომელშიც ვკითხულობთ, რომ აკადემიური პერსონალის ლექციებზე გამოუცხადებლობა არა მხოლოდ კანონმდებლობა და უნივერსიტეტთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევაა, არამედ აზარალებს იმ სტუდენტებს ინტერესებს, რომლებიც დღეს ესწრებიან სალექციო კურსებს. ასევე, ლექტორთა გაცდენებით სასწავლო პროცესის შეფერხება ხელს უშლის უმაღლესი განათლების მიზნების რეალიზებას და საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერმა სტუდენტებს პირობა მისცა, რომ გაცდენილი საათები და ქულები აუნაზღაურდებოთ.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით დაპირისპირება გასცდა პოლიტიკურ ჭრილს და, შეიძლება ითქვას, ოჯახში, სამეგობროსა და სანაცნობოში გადმოინაცვლა, ყოველდღიურ განსახილველ თემადა იქცა.

გადავინაცვლოთ პარლამენტში, სადაც ერთმანეთის მოსმენა არ სურთ, საიდანაც

მცა კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა და ზოგიერთმა ვერ, ან არ გაიგო მისი პოზიცია. დღეს კვარაცხელიას ეს ადამიანები აკრიტიკებენ, რომლებიც მას რუსეთში თამაშის დროსაც აბულინგებდნენ. არადა, ამ საამაყო ბიჭე-

ისგანაც, არც სადარბაზოებთან დახვედრა და ანგარიშსწორება ევროპული სტანდარტი. იგივე შეგვიძლია ვთქვათ მოქალაქეზე, რომლის ნასროლი ქვებით თავი დაუშავდა პოლიციელს, რომელიც საკუთარ საქმეს მშვიდად



და სახლლები დაინტერესებულ პირებს წარუდგინა და მათგან რეკომენდაციები მოისმინა. აღნიშნულ ინფორმაციის სამინისტრო ავრცელებს. მათივე განცხადებით, დასაქმების სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტი 1 731 600 ლარი იქნება. უწყება გააგრძელებს მოსარგებლეთა პროფესიულ მომზადება/გადამზადებასა და დასაქმებაზე ორიენტირებულ ყველა არსებულ პროგრამას. „დაგეგმილია ახალი პროგრამის - „საკვანძო კომპეტენციების განვითარება“ მოქმედება, რომლის მიზანია, პროფესიის დახმარებ უნარების განვითარების გზით, დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში, 70 პირი მიიღებს მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების კურსს, როგორცაა: სამწარმო უნარები, მულტილინგვიური კომპეტენცია - დარგობრივი უცხო ენა, ციფრული კომპეტენცია, ვექტორული და გრაფიკული პროგრამები - 3D Max-ი, hotoshop-ი, illustrator-ი, inDesign-ი, Corel DRAW-ი, სასტუმრო, სარესტორნო, სასაწყობე პროგრამების მიმართულებით.

ეგებთან ერთად, 34 პროგრამას განახორციელებს.

ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.

თ არ უშვებს. სტუდენტების თქმით, ე.წ. რუსული კანონის მიღებით საქართველო ევროპას დაშორდება.

ბათუმის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის წინააღმდეგ საპროტესტო აქციას მართავენ. ცენტრალურ პარკში შეკრებილები აცხადებენ, რომ კანონპროექტი ეწინააღმდეგება ჯანსაღ აზრს და საფრთხეს უქმნის ევროპულ მომავალს. „საკლასო ოთახების ნაცვლად ვგდავართ ქუჩაში და ვაპროტესტებთ წარმოდგენილ კანონპროექტს. დღეს დუმილი სირცხვილია. მიმდინარე მოვლენები ეხება თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ ქართველს, თითოეულ ახალგაზრდასა თუ საქართველოს მოქალაქეს, რომლებსაც შესაძლოა ამ კანონპროექტმა შეუზღუდოს საკუთარი თავისა თუ ქვეყნის დემოკრატიულ და სრულფასოვან გარემოში განვითარება. უმოქმედოა თითოეული იმ გმირისა თუ მოვლენის შემთხვევა, რომლებმაც მოგვცეს ევროპის ღირსეულ ნაწილად საქართველოს ალქმის შესაძლებლობა. მესამე მოსმენით განიხილება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი“ და კიდევ ერთხელ გადმოგვეხსმება ლავი ჩვენი კეთილგანწყობით ირიბად აღჭურვილი თანამემამულეების მიერ. მოქმედების დროა. იმოქმედეთ თქვენთვის, ჩვენთვის და ნათელი მომავლისთვის“ - აცხადებენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე კორეის რესპუბლიკის დროებით რწმუნებულს კიმ ტონგ ოპის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის პოლიტიკურ, საინვესტიციო, ენერგეტიკის, ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს და ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები მიმოიხილეს. მნიშვნელოვანია, რომ სულ მალე კორეის რესპუბლიკის საელჩო თბილისში სრულფასოვნად დაიწყებს საქმიანობას, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობას ახალ ეტაპზე გადაიყვანს. აჭარის მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების მნიშვნელობაზე სხვადასხვა მიმართულებით.



# „მმართველ ქალას უჭირს საბარეო პოლიტიკური რისკების სათანადო შეფასება“

ლავა ხომიკი 593 50 82 69

**მიტინგები, დემონსტრაციები, ურთიერთსიძულვილი, ადამიანების ცემა, დარბევები ქართული პოლიტიკის თანმდევი მოვლენაა, რაც საქართველოს განვითარებას, მის წინსვლას და წარმატებას მნიშვნელოვანად აფერხებს**

არადა, ეფექტურად გატარებული საშინაო პოლიტიკა (დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობა, ცივილური დებატები ოპონენტებს შორის) წინაპირობაა ქვეყნის განვითარებისთვის, რისი დასტურია ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც არა მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოები, არამედ ეკონომიკური აღმავლობის თვალსაზრისით მოწინავენი არიან. ამ მხრივ საქართველოს მიმართ ბოლო დროს კითხვის ნიშნები გაჩნდა. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი გახდა ახალი დაპირისპირების მიზეზი ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის, დასავლეთის მნიშვნელოვანი იმპერია, რამაც მრავალი კითხვა წარმოიშვა. ამ დღეებში სწორედ ამის თაობაზე გავიხილავთ საკუთარი თვალსაზრისი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტმა **გიორგი ბრეზინამ**.

**როგორ დაახასიათებთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და რა ასპექტებს გამოიყოფთ?**

როგორც უსაფრთხოების საკითხების მკვლევარი, დიდი სიფრთხილით ვაკვირდები მიმდინარე პროცესებს. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქვეყანა უახლესი პერიოდის განმავლობაში პირველად დგას ამ მასშტაბის პოლიტიკური კრიზისის წინაშე, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ მოცემული კრიზისის ნიშნები არ გაჩნდილა არც გუშინ, არც დღეს, არც ხელისუფლების მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ინიცირებისას. უკვე წლებია, გზავთ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების წარმართველ ძირითად ძალებსა და ქართული საზოგადოების დიდ უმრავლესობას შორის გაწყვეტილია კავშირი. უკვე წლებია, გვაქვს მოცემულია, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ეგრეთ წოდებული გადაუწყვეტელი ამომრჩეველია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება ერთგვარ პოლიტიკურ აპათიაში - არ ენდობა მთავრობას, მიუღებელია ოპოზიციისა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში აქტივობამ, ოფიციალური მონაცემებით, 56% შეადგინა, ხოლო მმართველმა ძალამ საარჩევნო ყუთთან მისული ამომრჩევლების მხოლოდ 48%-ით აიღო ხელში ძალაუფლება, შესაბამისად, უხეში გათვლებით, საქართველოს მმართველ პოლიტიკურ გუნდს ლეგიტიმაცია მინიჭა რეგისტრირებული ამომრჩევლის, საშუალოდ, მეოთხედმა, ოპოზიციურ ჯგუფებს - კიდევ უფრო ნაკლებმა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოლიტიკური ისტაბლიშმენტი დღეს ვერ გამოხატავს საზოგადოების ინტერესებს, შედეგად კი ვიღებთ გარემოს, სადაც პოლიტიკოსები არიან გაუცხოებულნი ხალხისგან. სწორედ აღნიშნულის გამოძახილია მიმდინარე საპროტესტო მოძრაობაც, სადაც მიუხედავად საზოგადოების არსებული მობილიზაციისა, პოლიტიკური ლიდერები ერთდებთან პირდაპირ და აქტიურ ჩართულობას პროცესებში. ჩვენ თითქმის ვერ ვხედავთ მათ საჭირო გამოვლენას, ისინი თითქმის არასდროს მიმართავენ საზოგადოებას, არ სახავენ სამოქმედო გეგმებს და, ყოველ შემთხვევაში, გარე დამკვირვებლისთვის არ იკვეთება არცერთი ჯგუფი, რომელსაც აქვს საკმარისი ლეგიტიმაცია, წარმოადგინოს საზოგადოებას თუნდაც მთავრობასთან მოლაპარაკებებში. პარალელურად, დემონსტრაციების მასშტაბიდან, ასევე, საზოგადოებრივი განწყობებიდან გამომდინარე, ასეთ ძალას არც დღევანდელი მმართველი პოლიტიკური ჯგუფი წარმოადგენს. სწორედ ეს მოცემულობა და ამ მოცემულობის ფონზე მმართველი ჯგუფის სურვილი, მოახდინოს ძალაუფლების კონსოლიდაცია, რაც მას მისცემს საშუალებას, ამჯერად მეოთხე ვადით მართოს ქვეყანა - წარმოშობს პოლიტიკურ კრიზისს, რომელიც თანდათანობით უახლოვდება სახიფათო ნიშნულს, რომლის შემდეგაც ვითარების გაუმსწორება იქნება ძალიან რთული.

**ამ ეტაპზე გამოიკვეთა პრობლემური**



**საკითხი - მმართველი პარტია აპირებს, საბოლოოდ მიიღოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. პარლამენტის მიერ ამ კანონის მიღება რა პლუსებს და მინუსებს აძლევს ხელისუფლებას და ოპოზიციას საარჩევნოდ?**

მმართველი პარტიის სურვილი, მიიღოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ნებისმიერ ფასად სხვა არაფერია, თუ არა პირდაპირი რეფლექსია ქართული პოლიტიკური კულტურისა, სადაც ნებისმიერი დათმობა, კომპრომისი, მოლაპარაკება, დიალოგი, კონსენსუსი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ყველა ნორმალურ

**პირველი და ყველაზე დიდი პრობლემა, რამაც გამოიწვია საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის პროტესტი, უკავშირდება ტერმინს „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი“, რაც ჩვენს პოლიტიკურ კულტურაში, თავისი შინაარსობრივი დატვირთვით, პირდაპირაა გაიგივებული ტერმინთან „მოლაღატე“. ბუნებრივია, აღნიშნული ტერმინი არაერთმა ადამიანმა, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, აღიქვა როგორც დირსების შემოღება. თავად ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ბატონი ღარიბაშვილი ამბობს, რომ ქვეყანაში 31 ათასამდე არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული, ხოლო მმართველი გუნდის სხვა წარმომადგენელთა თქმით, მათთვის პრობ-**

ლემას ქმნის 5-7 ორგანიზაცია. მოდით, გავაკეთოთ დაშვება, რომ თითოეულ ორგანიზაციაში საშუალოდ 5 ადამიანი მანაც მუშაობს. როგორც წესი, ეს რიცხვი ამაზე მაღალია, შესაბამისად, გამოდის, რომ ხელისუფლებამ, რომელსაც აქვს კითხვები 5-7 ორგანიზაციასთან, 31 ათას ორგანიზაციას, ანუ, უხეში და მინიმალისტური გათვლებით, 155 ათას ადამიანს მოსთხოვს, საკუთარი თავი დააიდენტიფიციროს სახელით, რომელიც მათ წარმოადგენს ნიშნავს მოლაღატეს. დავუშვათ, რომ თითოეული ადამიანი ცხოვრობს, სულ მცირე, სამსუღარაო ოჯახში, რა გამოდის? ჩვენი საზოგადოებაში დაახლოებით 465 ათასი ადამიანი ხდება სოციალური, პოლიტიკური და კულტურული სტიმულაციის საბაზისი. ჩვენი მოსახლეობის რაოდენობის ფონზე, ეს კოლოსალურად დიდი რიცხვია. არ მგონია, კანონპროექტის ავტორებს მისი წერის პროცესში ამაზე ეფიქრათ ან გაეთვალისწინებინათ ქართული, გზავთ პოსტსაბჭოთა საზოგადოების კულტურული (მათ შორის, პოლიტიკური კულტურის) თავისებურებებიც. მეორე საკითხი, რაც ასევე ბუნდოვანია, უშუალოდ კანონის ლეგიტიმური მიზანს, გამჭვირვალობას ეხება. მმართველი ძალის წარმომადგენლების მტკიცებით, აღნიშნული კანონმდებლობის მიღება საჭიროა, რათა მოხდეს ქვეყანაში უცხო ძალების მხრიდან „შავი ფულით“ პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების დაფინანსების და კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლის პრევენცია. პირველი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 307-ე და 315-ე მუხლებით ამგვარი ქმედება წარმოადგენს დანაშაულს, ისევე, როგორც პოლიტიკური პარტიების მიერ უცხო ძალისგან დაფინანსების მიღება წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას პოლიტიკური პარტიების დაფინანსების არსებული წესის თანახმად. შესაბამისად, ის, რასაც მთავრობა ებრძვის „გამჭვირვალობის კანონით“, საერთოდ არ არსებობს სათანადო ინფორმაცია და მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც პასუხობს სამართლებრივ სტანდარტს, საჭიროა გამოძიება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგის დადგენა, ხოლო თუ, უბრალოდ, ვარაუდის დონეზე საუბრობს მმართველი ძა-

ლა, მას ასევე აქვს მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში ყველა ბერკეტი ამ ვარაუდის გადასამოწმებლად. ესეც რომ არა, გაუგებარია, რა გზებით უზრუნველყოფს მედიის წარმომადგენლებს არ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წელიწადში ერთხელ შევსებული დეკლარაცია კანონის ლეგიტიმური მიზანს. ნუთუ კანონმდებელს ჰგონია, რომ თუნდაც ნიკოლოზ მეორის დროს რომ ჰქონოდა რუსეთის იმპერიას მსგავსი კანონი, ლენინი დარეგისტრირებოდა გერმანიის ინტერესების გამტარებლად, ხოლო კაიზერისგან ბოლშევიკური რევოლუციისთვის გამოყოფილ ფულად დახმარებას დაადეკლარებდა? ამგვარად, გარდა იმისა, რომ ეს კანონი შეურაცხყოფს მოქალაქეთა მნიშვნელოვან ნაწილს, პრაქტიკაში არ წარმოადგენს მისი ლეგიტიმური მიზნის ეფექტურ ინსტრუმენტს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საერთოდ ამოვარდნილია ეკონომიკური თუ სამართლებრივი ლოგიკიდან კანონის დამრღვევი ორგანიზაციების სანქცირების ან კიდევ მონიტორინგის მექანიზმები. საერთოდ გაუგებარია, რატომ მოხდა მედიასაშუალებები მოცემულ ჩამონათვალში, რადგან ამ უკანასკნელთა ფინანსები და საქმიანობა კონტროლდება როგორც შემოსავლების სამსახურის, ისე კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ. არსებული მექანიზმები სავსებით საკმარისია მედიის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, მათი რეგისტრირება უცხო ძალის ინტერესების გამტარებლად სრულიად არასაჭირო ნაბიჯია, რაც ძალიან ნე-

გატიურად აისახება ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკურ იმიჯზე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კანონის რეალური მიზანი არის არა გამჭვირვალობა, არამედ მმართველი გუნდის საკუთარ ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციის ხელშეწყობა, ასევე, უშუალოდ, მმართველი გუნდის წარმომადგენელთა განცხადებებზე დაყრდნობით, 7 ორგანიზაციისა და ცალკეული მედიასაშუალებების პრობლემების შექმნა. სწორედ ამიტომ, როდესაც ქვეყანა იყო სტაბილური, ეკონომიკას ეტყობოდა სიცოცხლის ნიშნები, ქვეყანას ჰქონდა საკმაოდ სერიოზული საგარეო პოლიტიკური წარმატება, ხოლო საზოგადოებას - ამალბებული განწყობა (თუნდაც ჩვენი ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლის გამო), მოცემული კანონის შემობრუნება, თან იმ ფონზე, როცა არსებობს დღევანდელი პრემიერის, ასევე უმრავლესობის ლიდერის საჭირო დაპირება, რომ მმართველი გუნდი აღარასოდეს მიუბრუნდება კანონს, მოწმენდილ ცაზე მუხის გავარდნას ჰგავდა. გონიერი ხელისუფალისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ევროპულ კოლეგებს კარგად ესმოდათ, მხოლოდ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი რომ საკმარისი იქნებოდა ხელისუფლების საარჩევნო წარმატებისთვის, თუმცა მათ ეს ნაბიჯი გადადგეს, შესაბამისად, მმართველი ძალის მეოთხე ვადით დაბრუნება ხელისუფლებაში, არსებული საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურის და საქართველოსთან პარტნიორობის გათვალისწინებით იყო სავსებით მისაღები. მათ უნდა დაენახათ, რომ პოლიტიკური ოპოზიციის არგუმენტები არ იყო ძლიერი იმ ფონზე, როცა ქვეყანაში ვითარების გაუმჯობესება იყო თვალსაჩინო და, შესაბამისად, უნდა გაეგოთ, რომ მათ არავითარი საჭიროება არ ჰქონიათ, შეექმნათ ძალაუფლების კონსოლიდაციის დამატებითი მექანიზმები. როგორ წარმოვიდგინათ, რა უნდა მომხდარიყო ისეთი 2024 წლამდე, რაც პოლიტიკურ ოპოზიციას მისცემდა ახლანდელ საპროტესტო მუხტის მობილიზების საშუალებას? პრაქტიკულად - არაფერი. შესაბამისად, ამ კანონის რეანიმირება იყო მმართველი პოლიტიკური ძალის შეცდომა.

იხ. მე-9 გვ.

# „უნდა დასრულდეს საზოგადოების პოლიტიკური ნიშნით დაყოფა“

ლუაზა ხომეიბი 593 50 82 69

**ბაღრაძე პაპიაშვილი** თხუთმეტი წელია, არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის ქართული“ ხელმძღვანელობს. საქმიანობის მთავარი პასუხისმგებლობით, შემართებითა და სიყვარულით გამოირჩეულმა პიროვნებამ თანამოაზრეები შემოიკრიბა და ავტორიტეტული მოიპოვა. დაჩაგრულის მხარეში დგომა, მოქალაქეთა უფლებების დაცვა მისი ყოველდღიური საზრუნავია. მოქალაქეებს მისი სტრატეგია, ემედეხება და ხშირადაც მიმართავენ დახმარებისთვის.

**- მას შემდეგ, რაც ჩვენი გავითის სტუმარი იყავით, დიდი დრო გავიდა - თითქმის მთელი პანდემიის პერიოდი. რა შეიცვალა თქვენს პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რა სიახლეებია?**

- ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაში ყოველთვისაა სიახლე, რაღაც მნიშვნელოვანი, რაზედაც მუდმივად გვიწევს ფიქრი. ვცდილობთ, გავანალიზოთ, შევიშუშოთ სწორი სამოქმედო გეგმა. ასევე, აუცილებელია, ყოველდღიურად ფენი ავუწყოთ განვითარების, აღმშენებლობის თანამედროვე პროცესებს. ჩვენ მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში ვეწევით სამოქალაქო-საზოგადოებრივ საქმიანობას - ეს ჩვენი ვალდებულებაა. ვცდილობთ, ვაკეთოთ კარგი საქმე. ამისთვის არავისგან არც შექვება ვითხოვთ და არც რაიმე ჯილდოს. არასოდეს დაგვიწყებია, რომ ჩვენი საქმიანობის მტკიცე მიზანი იყო და არის მყარი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარება. ქვეყნისთვის მთავარ პრიორიტეტად მიმაჩნია განათლებისა და რეგიონალური განვითარების საკითხის მუდმივად წინა პლანზე წამოწევა; აუცილებელია მოქალაქეთა სამოქალაქო საზოგადოების თვითშეგნების ამაღლება. უმთავრეს საკითხად გვესახება ადამიანის უფლებების დაცვა (ერთის უფლებების დაცვით არ უნდა ირღვეოდეს სხვათა უფლებები); მნიშვნელოვანია სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას შორის ურთიერთპატივისცემა, ტოლერანტობა და დიალოგის უზრუნველყოფა; ამავე დროს აუცილებელი და მნიშვნელოვანია - ეკომიგრანტ, უსახლკაროთა, უსახსროდ დარჩენილ ოჯახთა, ვეტერანებისა და ხანდაზმულთა, ბავშვთა და ქალთა, გენდერულ, სოციალურად დაუცველ ოჯახთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა უფლებების დაცვა და დახმარება, უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს ცხოვრების ყველა სფეროში მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის, დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდა და მათი ცხოვრებაში დამკვიდრება, საზოგადოებაში სამართლიანი გარემოს შექმნა; მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი საზოგადოებისთვის საჭირობო სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე; მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს სახალხო დიპლომატიის პროპაგანდას ამოქმედება ეთნიკურ უმცირესობათა რეგიონებში; ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, მაგალითად, ეკონომიკის ერთობლივი პროგრამების შემუშავებაში, სოფლის მეურნეობისა თუ ტურიზმის განვითარებაში და სხვა.

**- როგორც უფლებადამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელს, ამ ეტაპზე, რა მიგანინათ მთავარ საზრუნავად?**

- დღეს ვიმყოფებით ისტორიულ გზაჯვარედინზე. ქვეყნის გადარჩენისათვის აუცილებელია, დაისახოს სწორი, სამართლიანი გზა, რომელიც მიგვიყვანს საბოლოო გამარჯვებამდე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია თანხმობა საერთო კონსოლიდაციის საფუძველზე, უნდა დასრულდეს ქვეყნის შიგნით პოლიტიკა, საზოგადოების პოლიტიკური ნიშნით დაყოფა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ღია სამოქალაქო საზოგადოება, რომლის მთავარი იდეა იქნება: სახელმწიფოს და ეროვნული თვითმყოფადობა, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი დემოკრატიის დამკვიდრება და განვითარება; პოლიტიკური რევანშისმიერი აღმოფხვრა, რომელიც საწინდარი იქნება თაობებსა და ჯგუფებს შორის არსებული დაპირისპირებების შეჩერება - მორიგებისა და მათი ჩაყენების ქვეყნისა და საზოგადოების სამსახურში; ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოში დემოკრატიული, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას (ოჯახების განვითარების სტრატეგია); სახელმწიფოს უპირობო პრეროგატივად უნდა დაისახოს კანონის



უზენაესობა და სამართლიანობის აღდგენა; მნიშვნელოვანია, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ეკონომიკური ურთიერთობებისა და სახალხო დიპლომატიის ამოქმედება. სამოქალაქო საზოგადოება „მშვიდობის ქართული“ სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. ყოველთვის დგას მოწოდების სიმალეზე. არ ყოფილა და არც იქნება სატელიტი, მხარე, არცერთი პოლიტიკური პარტიის, არცერთი ხელისუფლების, კერძო პირთა თუ სხვათა პირდაპირი ინტერესების მხარდაჭერი და მათი პრინციპების გამტარებელი. ამასთანავე, ორგანიზაციის მიზანია, აქტიური როლი შეასრულოს მოქალაქეთა

მტრის წისკვილზე ვასხამთ წყალს. ასევე, სრულად ვუჭერთ მხარს ჩანსად განსხვავებულ აზროვნებას, სიტყვის სრულ თავისუფლებას, მაგრამ ეს არ უნდა იქნას გამოყენებული რაღაც გაურკვეველი პოლიტიკური თუ სხვათა ინტერესებისთვის, არ უნდა მოხდეს მისი დაშვება ანტისახელმწიფოებრივ ფორმებში. მნიშვნელოვანია სამოქალაქო-საზოგადოებრივი აზროვნების სწორი ხედვა, სამართლის და სამართლიანობის დამკვიდრება ყველგან და ყოველთვის, რათა სამართლიანობის გზაზე ამაღლდეს სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობა და თვითშეგნება ყველა დონეზე. თითოეულმა მოქალაქემ თავად უნდა გააცნობიეროს მოქალაქობრივი პასუხისმგებლობა და არ იყოს პასიური საერთო გადაწყვეტილებების მიღების დროს, თუნდაც არჩევნების დროს. დღეს ვერაფერს ვერავის აუკრძალავს და ვერც დაავალდებულებს ვერაფერს, ერთი სიტყვით, ჩვენი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ. ნიშნითში ეროვნულ პათოლოგიად არ უნდა ჩამოყალიბდეს და არ უნდა იქცეს უკურნებელ სენად. ამით ჩვენი საზოგადოება სცოდავს, მერე კი გვიკვირს, რატომ არის ისე, როგორც არ მოგვწონს.

**- უკვე კარგა ხანია, უფლებადამცველის ფუნქციას ასრულებთ. წინა წლებისა და ახლანდელ ვითარებას თუ შევადარებთ, რისი თქმა შეგიძლიათ?**

- პრობლემები მუდმივად არის, უპირველესი და აუცილებელია სამართლიანობა და სამართლე. მნიშვნელოვანია მოქალაქეების გვერდით დგომა და ერთგულება, ისინი ამას უფრო მეტად აფასებენ. თავად მოქალაქეებმა კარგად იცინ, ვინ ვინ არის, ვისი ნდობა შეიძლება და ვისი - არა, ეს არის მთავარი

## დღემდე არცერთ ხელისუფალს არ უფიქრია, შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილება და მოხსნას ბლოკირება რეფერენდუმით კანონის მიღებისა და გაუქმების უფლებაზე, რაც ერთმნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს არსებული საკანონმდებლო ადმინისტრაციული ხელისუფლების ეფექტურ მუშაობას და სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი კრიზისების დაძლევას

თანასწორუფლებიანობის, გამჭვირვალობის, საჯაროობის, დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების თვალსაზრისით. ჩვენს საქმიანობას ლიბერალური გზადასვლა კრიტიკა და თვითკრიტიკა. მიზანი ერთია: კარგი გაკეთებული საქმის სათანადოდ წარმოჩენა, რაც საზოგადოებასთან ჰარმონიულად არის შეკავშირებული-შეთანხმებული, მეორე მხრივ, გამოვავსარათ ყველა გადაცდომა, რაც შეუუსაბამოა და მიუღებელია საზოგადოებას. ამასთან დაკავშირებით, საქმის აქტიურად წარმართვისათვის მიზნად ვისახავთ საზოგადოების აქტიური ნაწილის, მოხალისეთა და სტუდენტთა ახალგაზრდობის მასივობით ჩართვას, რომლებიც მზად იქნებიან, გასწიონ სწორი პროპაგანდა სამოქალაქო საზოგადოების გაერთიანების, განვითარების, მათი თვითშეგნების ამაღლების მიზნით... ამრიგად, „მშვიდობის ქართული“ გააკრძალავს იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლებიც დგანან სამართლიანობის გზაზე და პრინციპულად იცავენ სამოქალაქო საზოგადოებრივ ინტერესებს.

**- ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით ჩატარებულ მუშაობაზე რა შეგიძლიათ გვითხროთ?**

- არის ადამიანთა უფლებების ყოველმხრივი დაცვის უწყვეტი პროცესი, რა თქმა უნდა, სრული პასუხისმგებლობა მინც სახელმწიფოს ეკისრება. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობასა და ტოლერანტობას; ასევე, სამართლიანად მიგვაჩინა, მუდმივად მიმდინარეობდეს მონიტორინგი საზოგადოებისათვის სხვადასხვა საჭირობო საკითხებზე და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით... ქვეყანაში მუდმივად ყურადღება უნდა დასახლდეს დიპლომატიის პროგრამების ამოქმედების საკითხი ეთნიკურ უმცირესობათა რეგიონებში, რაც არის საწინდარი ურთიერთშორის პატივისცემის, ხალხთა ძმობის, ერთიანობის, მონოლითურობის, რაც განაპირობებს დემოკრატიული ფასეულობების პროპაგანდას და მის სამოქალაქო ცხოვრებაში დამკვიდრებას, ანუ საზოგადოებაში სამართლიანი გარემოს შექმნას, ნდობის ამაღლებას, აქტიურ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას ეროვნული კონსოლიდაციის გამტკიცებისა და ხელშეწყობისათვის, საზოგადოების დახლენა-დაყოფა, თუნდაც პოლიტიკური ნიშნის მიხედვით, მთლიანობაში აზიანებს სახელმწიფოებრივ ინტერესებს, ამით

ფაქტორი, განმსაზღვრელი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში. ჩვენი ვალდებულებაა, დავარწმუნოთ მოქალაქეები, თავად განდენ აქტიური მებრძოლი სამართლიანობის, საზოგადოების კეთილდღეობის და განვითარების, ქვეყნის მომავლის აღმშენებლობის გზაზე. მუდმივად ვუწყობთ ხელს, შეიქმნას და გაძლიერდეს დემოკრატიული პრინციპებზე დამყარებული ღია, სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც იქნება მთავალზე ორიენტირებული. დასრულდეს ეროვნული უთანხმოება, საზოგადოების დახლენა-დაწვევება, რაც დღეს ყოველად უიდეო, უპრინციპო, ქვეყნის შიგნით რადიკალური ძალების წყალობითაა ინსტიტუციური და ძირს უთხრის საზოგადოების ერთიანობას, ქვეყნის სიძლიერეს. აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების დონეზე ეროვნული თვითშეგნების ამაღლება.

**- ადამიანის უფლებები დაცული რომ იყოს, საგადასრულოდ რა მიგანინათ? უფლებადამცველების გარდა, ვინ და როგორ უნდა იზრუნოს ამისთვის? რეალურად, რა სახის პროექტი უნდა განხორციელდეს და როგორი სურათია ამ მხრივ აჭარაში?**

- უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებას, რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით უნდა გამოვსახოთ ყველა დონეზე არსებული ნაკლოვანებები, შესაბამისად, დაგვანოთ გზები მათ აღმოსაფხვრელად და ავამაღლოთ ხალხის ნდობის ფაქტორი. უნდა ვებრძოდეთ არსებულ პრობლემებს და მანკიერ მხარეებს, არაკომპეტენტურობას, არაპროფესიონალიზმს, ნეპოტიზმსა და სხვა. სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებები სრულად უნდა იყოს მორგებული თითოეულ მოქალაქეზე არა პრივილეგიების მიხედვით, არამედ ყველას უნდა მიეცეს სიეთვის მიღების შესაძლებლობა. სოფლის მეურნეობის და ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა გახდეს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის დიდი მომავლის საფუძველად საფუძველი. ამისათვის სრულფასოვნად უნდა განხორციელდეს მცირე სამეწარმეო და რეგიონალური განვითარების პროექტები... უკეთესია, არსებობდეს სახელმწიფო ბანი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის მცირეპროცენტული სესხების გაცემას. სახელმწიფოსა და მისი ხელისუფლების წარმატება დაკავშირე-

ბულია სწორ, გამჭვირვალე საკადრო სისტემის შექმნასთან. მართალია, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ თავის დროზე გარკვეულ სფეროებში ფუნდამენტურად შეცვალა ვითარება, მაგრამ ეს არასაკმარისია. ჩასაფრების პოლიტიკა არაა ჩვენი მიზანი. ჩვენი მიზანია, რეალურად შევავსოთ ქვეყანაში არსებული ნაკლოვანებები, შეცდომები და გამოვიტანოთ სააშკარაოზე. პრინციპულად ვიდგეთ სიმართლისა და სამართლიანობის მხარეზე, აქტიურად ჩავერთოთ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ყველა პროცესში. სამწუხაროდ, ყოფილი ცხოვრებამ და პრობლემებმა საზოგადოებაში ბოლო, შუღლი, შური, გაუტანლობა და გაუღირობა წარმოშვა. ჩვენდა სახედინეროდ, დღემდე შემოგვრჩენ კარგი და მისაბაძი ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან საქმით, ყოფით, ქცევითა და მორალით. საჭიროა საზოგადოებისათვის მათი გაცნობა და ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სწორედ, მათთან ერთად ვახდებთ ბრძოლა შესაძლებელი განვითარებისა და სამართლიანობის გზაზე. თანამედროვე საზოგადოებაში გაუფასურებულია კაცობრიობის მთავარი ღირებულებები, როგორცაა პატივითი, ეროვნულობა, კულტურა, ტრადიცია, სინდისი, მორალი, ტოლერანტობა, მიმტევებლობა, თანაგრძობა, გაგება... აუცილებელია, ცივილიზაციიდან მივიღოთ და შევიანარჩუნოთ კარგი და გამოსადეგი. თავისუფალი ცხოვრება არ ნიშნავს გარყვნილებასა და ზნედაცემულობას; ადამიანი ღირსებით, მაღალზნობრივ თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს.

**- საზოგადოებასთან კონტაქტს როგორ ახორციელებთ? რა შეხვედრებს მართავთ და წამოჭრილ პრობლემებზე როგორ რეაგირებთ?**

- პირველი ისაა, რომ გამოსავალი ჩვენი მოქალაქეების სწორ ხედვაშია. ორგანიზაციული შეხვედრები იყო და არის ორიენტირებული მიმართულების სწორ პრინციპებზე. დღეს ჩვენი ქვეყანა დგას გარედან თავსმოხ-

# ქერა არ ბაასივა, შვილს ოზლოზა არ აბრძობინა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

„**ომი თანაბრად ადებს ხარკს როგორც ქალს, ისე მამაკაცს, მხოლოდ ერთსგან იღებს სისხლის სახით, მეორისგან კი ცრემლით**“ - ამბობს მწერალი. მართლაც ისე წავიდა წუთისოფლიდან შუახევის რაიონის სოფელ ახალდაბის მკვიდრი მერიემ ზოიძე-უსტიამვილი, რომ თვალზე ცრემლი არ შეშრობია - მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულ ქმარ ომერ უსტიამვილს გლოვობდა მერიემ ზოიძე-უსტიამვილი 1920 წელს დაიბადა. მოსიყვარულე და თავაზიანი ბავშვი იყო. სრულიად ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ სოფელ ჯაბნიძეებში მცხოვრებ ომერ უსტიამვილზე გათხოვდა. 1938 წელს ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში და იქ ახალი კერა მოიწყო. ომერ უსტიამვილის უნარი და შესაძლებლობა მალე შეამჩნიეს იქაურებმა და ბრიგადირად დააწინაურეს.



გააგრძელა. მალე წერილით შეიტყო ომერის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. საგარეულოდ, ომერი ქერის მისაღებობთან გაუჩინარდა. ამ ამბავმა საგრძნობლად შეარბია მისი ჯანმრთელობა, მაგრამ ძალ-ღონე მოაკრიბა, რადგან ზურაბზე უნდა ეზრუნა. ძმების ოჯახში 18 წელი გაატარა, სანამ შვილი სრულ-



წლოვანი გახდებოდა. მაშინ მერიემ ძმებმა სახლი აუშენეს და დედა-შვილმა დამოუკიდებლად დაიწყო ცხოვრება. ზურაბი სკოლის დამთავრების შემდეგ, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ინსტიტუტის

დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ახალდაბის საშუალო სკოლაში მასწავლებლად, სადაც 52 წელი იმუშავა, 30 წელი - დირექტორის თანამდებობაზე.

მერიემ შრომისმოყვარე, კეთილი ადამიანი იყო. აქტიურად მონაწილეობდა სოფლის, ქვანის ხეობისთვის სასიკეთო საქმიანობაში და სულ მოწინავეთა რიგებში იდგა. მეზობლებსაც თანადგომასა და დახმარებას არ აკლებდა.

46 წელი გაატარა მეუღლის გარეშე, მთელი სიცოცხლე შვილს შეაღია. მანაც გაუმართლა. მალე დაოჯახდა, ცოლად თანახეობელი, ვარჯანაუღელი ნათელა ჭალაიძე შეირთო. ხარობდა მერიემი ხუთი შვილიშვილით. ლეილა, რომანი, ლია, როინი და ეკა ზურაბის შემდეგ მისთვის ყველაზე დიდი საფიცრები იყვნენ. მერიემისა და მეორე მსოფლიო ომს შეწირულ ომერ უსტიამვილის შთამომავლები ექიმები, მეზღვაურები, არქიტექტორები, მასწავლებლები, ეკონომისტები არიან, საქმიანობენ თბილისში, ბათუმში, ქვეყნის სხვა ქალაქებში. 10 შვილთაშვილსაც მოესწრო და ვალმოხდილი წავიდა წუთისოფლიდან.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს - 9 მაისს, შთამომავლები უკვე 28 წელია ახალდაბაში მერიემის საფლავს ყვავილებით ამკობენ, პატივს მიაგებენ ღირსეული წინაპრის ხსოვნას, ომში დაკარგულ ომერსაც იხსენებენ, მერიემის ძმებსაც ამაგს უფასებენ.

## „უნდა დასრულდეს საზოგადოების კოლიტიკური ნიშნით დაყოფა“

მე-4 გვერდიდან

**- როგორ ფიქრობთ, დროს ფეხს უწყობთ? თანამედროვე ტექნოლოგია და ციფრული სიახლეები რამდენად გეხმარებათ მუშაობაში?**

- რა თქმა უნდა, ტექნოლოგია და ციფრული სიახლეები თანამედროვეობის გამოწვევაა. ადამიანს მუდმივად აქვთ საკუთარი ემოციები და განცდები. დღევანდელ მსოფლიოში ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ცვლილებები, რაც დაკავშირებულია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან. დღევანდელი მსოფლიო წესრიგი აღარაა ისეთი, 10, 50 თუ 100 წლის წინათ რომ იყო, ყოველდღიურად იცვლება მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობა და ასეთ ვითარებაში არ უნდა ვიყოთ სუსტი რგოლი. თანამედროვე გლობალიზმში დიდ გავლენას ახდენს საკაცობრიო ცნობიერებაზე, თუ გვიანდა თანამედროვე მსოფლიოში დავიმკვიდროთ ჩვენი ადგილი, გვმართებს სიფხიზლე, პასუხისმგებლობა; ძალიან შორს უნდა ვიხედებოდეთ, სწორად ვაფასებდეთ მოვლენებს და ვატარებდეთ დროულ და მოქნილ პოლიტიკას. დღეს პოლიტიკაშია დამატებული. უნდა ვისწრაფოდეთ, შევიძინოთ მეტი მეგობარი და არა მტრები. ხელისუფლებას არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება. შეცდომა თვითკმაყოფილების გრძნობა, რაც თვითმკვლელობის ტოლფასია. ქვეყნის განვითარების საფუძველთა საფუძველია თანასწორუფლებიანობა და სამართლიანობის დამკვიდრება. ქვეყანას უნდა მართავდნენ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები.

**- ბათუმის თანამედროვე განაშენიანება და მოქალაქეთა მანქანებით ჩახვევითი ეზოები რამდენად უსაფრთხოა? თქვენ, როგორც უფლებადამცველი, როგორ რეაგირებთ ამ რეალობაზე?**

- ბათუმი ულამაზესი და დიდი ქალაქია თავისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით, ბათუმელები კი უთბილესი და უსაყვარლესი ადამიანები არიან. ბათუმის მერიას ბევრი საზრუნავი აქვს, თუნდაც - მანქანებით ჩახვევითი ეზოები და ქუჩები. ბათუმის მერიის ვალდებულებაა, ეძიოს გამოსავალი - თუ როგორ განიტვიტოს ეზოები მანქანებისგან. პრობლემა ის არის, რომ მრავალსართულიან შენობებს იშვიათად აქვს საპარკინგე ადგილი, ზოგჯერ ქუჩას თუ უბანს საფენავლო ბილიციც არ გააჩნია (მაგ: ქეთევან წამებულის ქუჩაზე და არცერთ ჩიხში არ არის საფენავლო ბილიცი, ეს ხომ მერიის უყურადღებობითაა გამოწვეული).

**- იმ სამომავლო პროექტებსა და ღონისძიებებზე მოგვიხსენით, ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისთვის რომ ისახება?**

**ბეების დაცვის გაუმჯობესებისთვის რომ ისახება?**

- ქვეყანაში პოლიტიკური მმართველობის ავტორიტატიული მმართველობა უნდა შეიცვალოს მმართველობის დემოკრატიული ფორმით. ამისათვის, კონსტიტუციურად, ძალაუფლება და, პირველ რიგში, რეფერენდუმით კანონის მიღებისა და გაუქმების უფლება უნდა დავიბრუნოთ, რომელიც კონსტიტუციით მინიჭებული გვქონდა, მაგრამ დღეს დაბოლოებულია. როცა ძალაუფლება გადავა მოქალაქეების ხელში, როცა ხალხს ექნება პარლამენტის დათხოვნის უფლება, პარლამენტიდან დეპუტატის გამოწვევის, ქვეყნისა და საზოგადოებისათვის აუცილებელი კანონის მიღებისა და გაუქმების უფლებები, მაშინ არცერთ პარტიას აღარ დასჭირდება ბრძოლა პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად, რადგანაც უმოქმედო, უსარგებლო, ანტი-სახალხო პარლამენტს თვითონ საზოგადოება გამოუტანს განაჩენს და სწორედ მოქალაქეების ნდობით აღჭურვილ პირებს მიეცემათ პარლამენტში შესვლის შესაძლებლობა, იმათ, ვისაც არ ექნებათ არავის წინაშე ვალდებულება, გარდა მოქალაქეებისა და საკუთარი ამომრჩევლისა. ასევე, კანონპროექტებზე დაყრდნობით, უშუალოდ რეფერენდუმით უნდა მიიღებოდეს კანონები იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რომლებიც მოსახლეობის დიდ ფენებს განსაკუთრებით ადევლებდა და რომელთა განხორციელება სავალდებულო იქნება ნებისმიერი ხელისუფლების პირობებში. უმთავრესია, მოქალაქეებმა სწორად გაიაზრონ, გაიგონ, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძალაუფლება ხალხისა და მან თავისი ნება ლეგიტიმურად, კანონიერად, პოლიტიკურად და სამართლებრივად უნდა გამოხატოს და დააფიქსიროს. რეფერენდუმით უფრო მაღალი ლეგიტიმაციის მქონეა, ვიდრე ხელისუფლების და პარლამენტის მიერ მიღებული კანონები. იგი იძლევა ხალხის ძალაუფლების განხორციელებისათვის ფართო შესაძლებლობებს ხალხის პოლიტიკური ნების ლეგიტიმურად გამოსახატავად, რაც დღეს საქართველოს მოქალაქეებს არ გააჩნიათ. დღემდე არცერთ ხელისუფალს არ უფიქრია, შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილება და მოხსნას ბლოკირება რეფერენდუმით კანონის მიღებისა და გაუქმების უფლებაზე, რაც ერთმნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს არსებული საკანონმდებლო აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტურ მუშაობას და სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი კრიზისების დაძლევას. დემოკრატიის განვითარება ქვეყანაში აქტიური მოქალაქეების არსებობასთან პირდაპირ კავშირშია - რაც უფრო მეტი მოქალაქე მონაწილეობს დემოკრატიულ პროცესებში, მით უფრო გაზრდილი პასუხისმგე-

ბლობით ეკიდება ქვეყნის მართვას ხელისუფლება. შესაბამისად, მოქალაქე ერთგვარ მორალურ ვალდებულებას და პასუხისმგებლობას იღებს, მაქსიმალურად გამოიყენოს კონსტიტუციით, კანონით მინიჭებული შესაძლებლობები და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფოს ან, თუნდაც, საკუთარი ქალაქისა და მუნიციპალიტეტების მართვაში. დემოკრატია, როგორც „ხალხის მმართველობის“ ფორმა, უშუალოდ და წარმომადგენლობითი ფორმით ხორციელდება. როგორც წესი, დემოკრატიულ სახელმწიფოებში განსაკუთრებულად საჭირობოროტო საკითხები რეფერენდუმის გზით წყდება, რომელიც ხალხის ძალაუფლების განხორციელების ფორმაა, - ეს არის საერთო-სახალხო გამოკითხვა კენჭისყრით და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად.

**- ურთიერთობა სხვა რეგიონებს არასამთავრობოებთან, გამოცვლილება, რომელიც გაუზიარებთ და თავად გააზიარებთ?**

- მუდმივად გვქონია და გვაქვს სხვა რეგიონების არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობები. ჯერ კიდევ წლების წინ ჩართული ვიყავით სამოქალაქო საზოგადოების რეგიონალურ ქსელში R - csn და ვმონაწილეობთ რეგიონალურ აქტივობებსა და დაგეგმილ ღონისძიებებში, როგორც იყო, მაგალითად: კამპანია „სუფთა ჰაერი, უსაფრთხო მოძრაობა“ (საგზაო უსაფრთხოების შესახებ, საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების თემაზე); „სიდას“ ორგანიზებით იმართებოდა თბილისისა და რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების სამუშაო შეხვედრები: „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სფეროს შესახებ შეთანხმება (DCFTA) და სამოქალაქო საზოგადოების როლი მისი განხორციელების პროცესებში“; მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MIGS); ჩართულობის ვიდეო ტრენინგებში მართლმსაჯულების საკითხებზე და ასე შემდეგ, რომლებსაც საქართველოს 10 რეგიონში იმ დროს სამოქალაქო განვითარების სააგენტო (სიდა) ახორციელებდა სამოქალაქო საზოგადოების ქსელის (R - GSN) წევრ ორგანიზაციებთან ერთად, ევროკავშირის ქვეყნებთან უფრო მშობლივად შესახებ რეგიონალური საინფორმაციო კამპანიის „ევროპასახლი“ ფარგლებში. ორგანიზაციამ მეგობრობის ხიდი „ქართლოსი“ ევრორეგიონალური უნივერსიტეტის ბაზაზე საინფორმაციო შეხვედრები ჩაატარა. კამპანია გაიმართა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და საინფორმაციო ცენტრთან ნატოსა და ევროკავშირის შესახებ პარტნიორობით. ვმონაწილეობდი პეტციის

საკითხებთან დაკავშირებით [ichange.gov.ge](http://ichange.gov.ge), რომელიც წარმოადგენდა/წარმოადგენს სამთავრობო პორტალს (პეტციისათვის საჭიროა 10 ათასი ხელმოწერის თანხმობა). ასევე ყურადსაღებია არის საკითხი, რომელიც ეხება ეკომიგრანტებს, მათ ადაპტაციას და ხელშეწყობას ახალ საცხოვრებელ ადგილებში, კერძოდ, ნინოწმინდასა და წალკის მუნიციპალიტეტებში. როგორც ყოველთვის, მივანჩინა, რომ ეკომიგრანტების საკითხის გადაჭრა. ქვეყნის სტაბილურობისა და განვითარების პირდაპირპრობორციულია. ასევე, აღსანიშნავია ის, რომ სამოქალაქო განვითარების სააგენტო „სიდას“ მეშვეობით დაფინანსდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გორელის საკრებულოში მცხოვრები ეკომიგრანტების მინიპროექტების სოფლის მეურნეობის მიმართულებით, რომლებიც ხელს უწყობს ეკომიგრანტთა ინტეგრაციას ჯავახეთის რეგიონში. აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის ქარტია“ 2014 წლიდან ეწევა აქტიურ საქმიანობას ეკომიგრანტების პრობლემების მოსაგვარებლად, დიდი წვლილი მიუძღვის განათლებისა და სხვადასხვა ეთნოსის მქონეთა ინტეგრაციის ხელშეწყობაში. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ორგანიზაცია „მშვიდობის ქარტის“, მის თავმჯდომარე ბადრი ქელოძის ხელმძღვანელობით, სამოქალაქო განვითარების სააგენტოს „სიდას“ თანადგომით გახდა შესაძლებელი ნინოწმინდაში, კერძოდ, სოფელ გორელის სკოლაში გახსნილიყო პირველი ქართული სასწავლო სექტორი, აშენდა სპორტული დარბაზი... მიუხედავად ამისა, ეკომიგრანტებთან დაკავშირებით არის მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც დღემდე მოუგვარებელი რჩება, რაც უაგვირბობდა როგორც არასწორად, შესამართლოდ ჩატარებულ მიწის რეფორმებს, ასევე, სხვა, დღემდე მოუგვარებელ საკითხებს, რამაც ისე იჩინა თავი, რომ 2010 წლიდან დღემდე გორელის სასახლეებში ეკომიგრანტების 62-მა ოჯახმა მიატოვა იქაური საცხოვრებელი და უკუმიგრირდა, რაც იქაურ მძიმე, უსამართლო და გაუსაძლის გარემოებებზე მიუთითებს.

**- ახლა რომ ცხოვრების გზის დასაწყისში იყო, რას აირჩევდით?**

- რომ დავიბადე, დემრთმა მარჯუნა საკუთარი სავალი ბილიკი და გზა, აღმართი და დაღმართი, ეს ყველაფერი უფლის ნება და უფლის ზღვარია... თუნდაც ცხოვრების გზის დასაწყისში აღმოჩნდი, იმავე გზას დავადგები. ეს არის ჩემი გზა, ჩემი ბედისწერა, ჩემი წარსული, აწმყო და მომავალი. ეს არის გზა ჩემი რწმენის, ჩემი სიწმინდის, ღირსების, სიცოცხლისა და სიყვარულის...

**- სიტყვა, რომლითაც სასურველია დღის დაწყება... დილას თავად რა სიტყვით გვებობთ?**

- დილა მშვიდობისა! მშვიდობას ვუსურვებ ბერს, ერს, სრულიად საქართველოს! დიდება ყოვლისშემძლე უფალს!



# „მარტოზა“ – ხეობის დღესასწაული

7 წელსა და 7 თვეს შენდებოდა გამონათლევების ტაძარი. ხეობის ღირსეულ ქველმოქმედებთან ერთად, მშენებლობის ინიციატორი და ყველაზე დიდი შემომწირველი ცნობილი ექიმი, პროფესორი, ამჟამად ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორი სოლომონ ფუტყარაძე იყო

გამონათლევების წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის კურთხევის დღეს საფუძველი ჩაეყარა „მარტოზის“ დღესასწაულს. 19 წელი გავიდა მას შემდეგ. ტრადიციულად, მარტეთის ხეობის მკვიდრნი, ხეობიდან საცხოვრებლად სხვაგან გადასულები და მათი სტუმრები გიორგობის დღესასწაულზე ტაძარში სადღესასწაულო წირვას ესწრებიან და მისი დასრულებისა და საყოველთაო ნათლობის შემდეგ „მარტოზას“ ზეიმობენ.

რეგისტრირებულ კავშირ „მარტეთის“ წევრები, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები ცდილობენ, ყოველი დღესასწაული სიახლეებით დატვირთონ. დასკვნითი ღონისძიება მდინარეების - ჩირუხისწყლისა და დოლაბისწყლის შესართავთან, ახლად მოწყობილ კულტურისა და დასვენების ხეივანში იმართება, რომელიც მარტეთის ხეობის ღირსეული სამართალდამცავის, წუთისოფლიდან ნაადრევად წასული ფრიდონ ქარცივაძის სახელს ატარებს.

გამონათლევების ტაძარში საზეიმო ლიტურგია დეკანოზებმა გიორგიმ (ფუტყარაძე) და ბაგრატიმ (ბერიძე) აღავლინეს. წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ საყოველთაო ნათლობა ჩატარდა. ნათელღებულებიდან ყველაზე უმცროსი ერთი წლის სესილი დავითაძე (სოფელი ოქრობილაური) და ყველაზე უხუცესი ალექსანდრე დავითაძე (სოფელი ტბეთი) იყვნენ.

ჩემს ცხოვრებაში ეს დღე დაუვიწყარი იქნება, - გვითხრა დაბა შუახევის მკვიდრმა გიორგი ავილოვამ, - შვილ ნარგიზთან ერთად, ამ წმინდა ტაძარში მართლმადიდებლობას ვეზიარებ. ნათლია მამა გიორგია. წლების განმავლობაში ვფიქრობდი, მართლმადიდებლობაში ვზიარებოდა. უფლის ნებით, ეს ჩანაფიქრი რეალობად ვაქციე. ყველა ნათელღებულსა და ტაძარში მოსალოცად მოსულთ ვულოცავ გიორგობას და „მარტოზის“ სახალხო დღესასწაულს.

შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საქართველოს პარლამენტის მასპროტარქი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე ოლადაურის საჯარო სკოლის სპორტულ და-



რბაზში, „მარტოზის“ მონაწილეებთან ერთად, ჭიდაობაში შეგებრებას დაესწრნენ. 20-მდე სხვადასხვა ასაკის ფალავანს შორის საუკეთესო დარჩიძევილი რიჩარდ ფუტყარაძე იყო.

შუადღისას ნაჭივრის კულტურისა და დასვენების ხეივანი მოზეიმებით გაივსო.

- მარტეთის ხეობა და მარტელები ჩემთვის უცხო არაა, მაგრამ სახალხო დღესასწაულზე დასწრება აქამდე ვერ შევძელი. წელს ზეიმს ცნობილ მომღერალ ბაიარ შაშინის (გუნდარძე) მეუღლე მიხრიე შაშინთან ერთად ვესწრები, - გვითხრა ეთნომუსიკოლოგმა, აკადემიურმა დოქტორმა ნინო რაზმაძემ.

დღესასწაული შუახევის სახელოვნებო და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის ბენდმა, შუახევის კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „მარტოზა“, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ზე-კართან“, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა გაალამაზეს. მოზეიმების მესალმნენ ომარ ტაკიძე, როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მასპროტარქი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტყარაძე, საზოგადოება „მარტეთის“ თავმჯდომარე აკაკი მახარაძე.

ზეიმზე მარტეთის ხეობის ხეზე კვეთის, ქარგვა-კერვის ოსტატებმა საკუთარი ნამუშევრები წარმოადგინეს.

- მოზეიმთა განწყობას მეც ვუერთდები. გულს უხარია, როცა თვალს შეავლებ ხეობის სოფლებს, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. წელსაც მნიშვნელოვანი სიახლეებია დაგეგმილი, - გვითხრა ჯაბა ფუტყარაძემ.

ხეობის განვითარებაში, აქ მცხოვრებთა კეთილდღეობაში ფასდაუდებელი წვლილი აქვთ შეტანილი აქ დაბადებულ და დაფრთხილებულ ბიზნესმენებს. წელსაც მარტეთის ხეობისთვის გაწეული ღვაწლისთვის, სხვადასხვა ნომინაციაში, 30-ზე მეტ ადამიანს ფულადი ჯილდოები და საპატიო დიპლომები გადასცეს. საზოგადოება „მარტეთის“ ინიციატივით, ხეობის სკოლების წარჩინებული მოსწავლეები ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის პრემიებით ჯილდოვდებიან. წელს პრემიები დაამსახურეს ოლადაურის, უჩამბის, შუბნის, დღვანის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მაგდა მაკარაძემ, სალომე კუჟრაძემ, მარი და მელანო ფუტყარაძეებმა.

გოგინაურელი ბესარიონ გოგიტიძე 90 წელსაა მიტანებული. იგი სოფლის სკოლის პედაგოგი, დღვანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იყო. მას და სუნდუს,

შემან, ულფეთ, შალვა ფუტყარაძეებს „ხეობის უხუცესების“ დიპლომები და ფულადი ჯილდოები გადასცეს.

ლელა ფუტყარაძე არა მარტო ხეობაში, არამედ აჭარის მთიანეთში პირველი ქალია, რომელიც მაიორის ჩინით ქართულ ჯარში მსახურობს. „ახალგაზრდა წარმატებული მარტელების“ დიპლომები და ფულადი ჯილდოები მასთან ერთად გადაეცათ ალექსანდრე ცეცხლაძესა და მიხეილ მიქელაძეს.

უკვე ლექსების სამი კრებული ავტორია დარჩიძევილი ვალერიან ცეცხლაძე. მას, ელუარდ ნაკაძეს, გიული ფუტყარაძეს ამაგი დაუფასეს და, ნომინაციების შესაბამისად, ფულადი ჯილდოები გადასცეს.

ღონისძიების ორგანიზატორებმა „მარტოზა-2024“-ის ფალავანი რიჩარდ ფუტყარაძე, ასევე, მკლავჭიდა და ნარდში გამარჯვებულები წაახალისეს.

ძმები ტარიელ, ავთანდილ ჭუმუშაძეები ზურაბ, დავით, ამირან ფუტყარაძეების, რამინ დავითაძის, ომარ ბერიძის მსგავსად, ქველმოქმედებას ეწევიან. ძმები ჭუმუშაძეები წელს ნომინაციაში „ხეობის ქველმოქმედი“ სცნეს გამარჯვებულად.

ნომინაციებში „წლის წარმატებული პედაგოგი“, „წლის დეაქონალი პედაგოგი“, „ხეობაში სპორტის განვითარების ახალგაზრდა ორგანიზატორი“ გამარჯვებულებად დარჩიძევილი შოთა ბერიძე, მახალაკიძევილი ზურაბ დარჩიძე და გოგინაურელი ელიზბარ გოგიტიძე აღიარეს.

„საპატიო მარტეთის“ წოდება ა(ა)იპ „მწიგნობარის“ დამფუძნებელსა და დირექტორს, ტბეთელ მანანა წულუკიძეს, ქვეყნის საფინანსო და საბიუჯეტო დარგში შეტანილი გამოჩენილი წვლილისთვის - მახალაკიძევილ ალიოშა მახარაძეს, ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს პროფესორს, ლომანაურელი რაჟდენ ფუტყარაძეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, დარჩიძევილ გივი ცეცხლაძეს მიენიჭათ.

„მარტოზის“ ზეიმს მოგვიანებით შეუერთდა მომღერალი ბაიარ შაშინი (გუნდარძე), რომელმაც შუახევე შექმნილი სიმღერა შეასრულა.

## თარანბელოზი ტაძარი აშენდება

რამდენიმე წლის წინათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარეს ილია მეორისა და სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით საღვთო დღესასწაული „დიდაჭარობა“ დაარსდა, რომელიც წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღესა და საქართველოს ყოვლადწმინდა დვთისმშობლის წილგვდომილობის დღესასწაულზე - 12 მაისს აღინიშნება

ტრადიციულად დამკვიდრდა, რომ სადღესასწაულო ლიტურგია ხულოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარში, ტრაპიზონისა და ლაზეთის მოტარებული ანდრია პირველწოდებულის ხატების დაბრძანებისთანავე იწყება. წელს ეს პატივი სამეზობლო საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურებს არქიმანდრიტ ივანეს, მღვდლებს პეტრესა და პარხუნს ერგოთ.

- მეათე წელია, წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზით მოვდივართ. თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში, პარაკლისის გადახდის შემდეგ, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატს მოვაბრძანებთ ლაზეთში, შემდეგ - გონიოში, სხალთის ეპარქიაში, აქ მოლოცვის შემდეგ - ახალციხეში, ბორჯომში, ხაშურში, ქარელში, გორში და 17 მაისს ხატს თბილისში ჩავაბრძანებთ, იქ იქნება დიდი მსვლელობა. ამ თარიღს ოჯახის

სიწმინდის დღე ემთხვევა, - გვითხრა არქიმანდრიტმა ივანემ. ხულოს ტაძარში სადღესასწაულო ლიტურგიას სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსი მეუფე სპირიდონი სამების საკათედრო ტაძრისა და სხალთის ეპარქიის მღვდელმსახურებთან ერთად აღავლინდა. ეპარქიის მრევლთან, ბათუმიდან მოსალოცად ჩამოსულებთან ერთად ტაძარში იმყოფებოდნენ ხულოს და შუახევის მუნიციპალიტეტების მერები ვახტანგ ბერიძე, ომარ ტაკიძე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, ორივე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლები.

- აქ მოსალოცად ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან ერთად მოვდივარ. ჩვენთვის უდიდესი პატივია, ვეამბოროთ იმ წმინდა მიწას, რომელსაც ქრისტეს შობიდან 37 წელს ფეხი დაადგეს წმინდა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მათატამ. სპეციალობით ისტორიკოსმა კარგად ვიცი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიაში ამ დღეს. შეიძლება მოვუწოდებ, იართონ იმ გზით, რაც წინაპრებმა გამოიარეს, - გვითხრა შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ელუარდ გოგრაჭაძემ.

სადღესასწაულო ლიტურგია თითქმის 5 საათს გაგრძელდა. მისი დასრულების შემდეგ მღვდელმსახურები და მრევლი დიდაჭარაში გაემართნენ. მაისისთვის უჩვეულოდ ცივი და წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თარანბელოზის გორაზე, სადაც პირველი ტაძარი აიგო და მოციქულებმა სახარება იქადაგეს, დიდძალი მრევლი შეიკრიბა. პარაკლისის გადახდის შემდეგ მეუფე სპირიდონმა მრევლსა და მღვდელმსახურებს ფრიად სასიხარულო ამბავი აუწყა: თარანბელოზი ტაძარი აშენდება.

- სასიხარულო და ისტორიული მოვლენის მომსწრენი ვიქნებით. პირველ რიგში, ამ სიახლეს კოლეგას - ხულოს მუნიციპალიტეტის მერ ვახტანგ ბერიძეს ვულოცავ. ეპარქიის თითოეული მკვიდრისთვის ეს ამბავი საამაყო და მრავლისმთქმელი იქნება. მსოფლიო, ქრისტიანული სამყარო ერთხელ კიდევ გაიგებს და გაითავისებს, თუ რა ისტორიის მატარებელია საქართველო და მისი განუყოფელი კუთხე - აჭარა, - თქვა ომარ ტაკიძემ.

წმინდა ანდრია პირველწოდებულისადმი მოკრძალების ნიშნად სტიქაროსანმა თომა ჭალაძემ მისი ხატი ხულოდან ხიჭუარამდე ატარა - 25 კილომეტრზე მეტი ფეხით იარა.



ქს ვულოცავ. ეპარქიის თითოეული მკვიდრისთვის ეს ამბავი საამაყო და მრავლისმთქმელი იქნება. მსოფლიო, ქრისტიანული სამყარო ერთხელ კიდევ გაიგებს და გაითავისებს, თუ რა ისტორიის მატარებელია საქართველო და მისი განუყოფელი კუთხე - აჭარა, - თქვა ომარ ტაკიძემ.

წმინდა ანდრია პირველწოდებულისადმი მოკრძალების ნიშნად სტიქაროსანმა თომა ჭალაძემ მისი ხატი ხულოდან ხიჭუარამდე ატარა - 25 კილომეტრზე მეტი ფეხით იარა.

# ქალბატონი, რომელმაც 36 წლის ასაკში ავთვისებიანი სიმსივნე დაამარცხა

მაია ხოთაბაძე 27 48 93

იმ ასაკში, როდესაც მამოლოგიური სკრინინგი ქალების უმრავლესობას ჯერ გავლილი არ აქვს, ორი შვილის დედას, **მაია ხოთაბაძეს** სარძევე ჯირკვლის მეორე სტადიის სიმსივნე დაუდგინდა. დიაგნოზის შესახებ 33 წლის ასაკში გაიგო. მას შემდეგ სულ ცდილობდა, ამ სახლისთვის ისეთი მხარე ეპოვნა, რაზეც მხოლოდ ხალხით ისაუბრებდა... სევდიან ამბებზე ხმამაღალი საუბარიც შეძლო და ვერაფერი დაავადების დამარცხება.



ამ დიაგნოზს ელოდით?

რა თქმა უნდა, არ ველოდი. ნამდვილად არ მეგონა, რომ ამ დიაგნოზს მოვისმენდი, რადგან ფიქრშიც კი არ გამივლია, ასეთი რამ თუ დამემართებოდა. მივხვდი, რომ უსუსურები ვართ ადამიანები, არავინ ვიცით, როდის რა დაგვემართება. ექიმის ყველა მითითებას ვასრულებდი. მიპირდებოდნენ, რომ, თუ

36 წლის მაია კურცხალიძე ქედის რაიონში დაიბადა. ამჟამად მახინჯაურში ცხოვრობს. ოჯახთან ერთად თავს ბედნიერად თვლიდა, მსგავს დიაგნოზზე არასდროს უფიქრია, თუმცა როცა მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდა, ყველაფერი გააკეთა, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამხდარიყო.

რა დაეხმარა, რომ სირთულეებს გამკლავებოდა, როგორ ახსენდება მკურნალობის პერიოდი, ამ და სხვა საკითხებზე თავად გვესაუბრება.

**ქალბატონო მაია, რა სიმპტომები გქონდათ, რატომ გადაწყვიტეთ ექიმთან მისვლა?**

ერთხელ ჩემს ორგანიზმში რაღაც ჯირკვლისმაგვარი, მრგვალი გამონაზარდი შევნიშნე, საერთოდ არ მაწუხებდა, თუმცა გადიოდა თვეები და არ ქრებოდა. დამაინტერესა,

## დიაგნოზი რომ მოვისმინე, იმწამსვე თითქოს საკუთარ თავში ჩავიკეტე და ფიქრი დავიწყე. ვფიქრობდი მომავალზე, ცხოვრებაზე, შვილებზე, ოჯახზე, ჩემს ახლობლებზე, რომ მე მათ ვჭირდებოდი. არ მინდოდა ცუდ რამეზე მეფიქრა და არ ვაძლევდი საკუთარ თავს ამის საშუალებას. ცხადია, ფსიქოლოგიურად შემცვალა ამ ამბავმა, თუმცა როცა მხოლოდ კარგზე ფიქრობ და გაქვს რწმენა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ცხოვრებაც გამარტივდება

რა იყო, რატომ გაჩნდა და გამოსაკვლევად ონკოლოგიური კლინიკას მივმართე. ექიმმა პირდაპირ ბიოფსიის კვლევაზე გამიშვა და ორ კვირაში პასუხიც მოვიდა - სარძევე ჯირკვლის მეორე სტადიის სიმსივნე აღმოჩნდა. ექიმმა დიაგნოზი პირდაპირ მითხრა, არ დაუშალავს... ამ ყველაფრის მოსმენა, რა თქმა უნდა, უჩვეულო და მოულოდნელი იყო ჩემთვის. არ არის ადვილი ამ სიტუაციის უცებ გაანალიზება, თუმცა მაღლობელი ვარ, რომ ისეთი ექიმები შემიხვდნენ, მალევე დამამშვიდეს. ამისთვის, რომ დაავადება განკურნებას ექვემდებარებოდა, მთავარი იყო, არ შენერვიულა, ცუდზე არ მეფიქრა და ექიმებს ბოლომდე მივდობოდი.

მათ დაუფრებდები, ბოლომდე განვიკურნებოდი.

**ფსიქოლოგიურად როგორ შეხვდით ამ ამბავს, როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება?**

დიაგნოზი რომ მოვისმინე, იმწამსვე თითქოს საკუთარ თავში ჩავიკეტე და ფიქრი დავიწყე. ვფიქრობდი მომავალზე, ცხოვრებაზე, შვილებზე, ოჯახზე, ჩემს ახლობლებზე, რომ მე მათ ვჭირდებოდი. არ მინდოდა, ცუდ რამეზე მეფიქრა და არ ვაძლევდი საკუთარ თავს ამის საშუალებას. ცხადია, ფსიქოლოგიურად შემცვალა ამ ამბავმა, თუმცა როცა მხოლოდ კარგზე ფიქრობ და გაქვს რწმენა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ცხოვრებაც გამარტივდება.

- რომელი პროგრამით ისარგებლეთ?

- სახელმწიფო პროგრამაში ჩავერთე და სრული დაფინანსებით ვსარგებლობდი. ჩემი ექიმი ყველა საჭირო წამალს მიწერდა, რომელსაც ავთიაქში ვიღებდი, კლინიკაში მიმქონდა და ქიმიოთერაპია მიტარდებოდა.

**მკურნალობის პროცესი როგორ გახსენდებათ?**

- ვერც კი წარმოიდგენთ, რა მხიარულად შევდიოდი ქიმიოთერაპიის ოთახში. ექიმები და ექთნები მოწყენის საშუალებას არ მაძლევდნენ. სულ ვხალისობდით, გადასხმასაც კარგი განწყობით ვიწყებდი. ყოველთვის მამშვიდებდნენ - კარგი განწყობით შედი და კარგი განწყობითვე გამოხვალ. ასეც ვიქცეოდი. კარგად მიდიოდა ჩემი მკურნალობა, ყოველი ეტაპი. ძალიან თბილად მასხენდებდა მკურნალობის განვლილი პერიოდი.

**როცა თავს ცუდად გრძობ, რთულია კარგზე იფიქრო. რა გაძლევდათ ძალას, მოტივაციას?**

- საკმაოდ რთულია, დაიმშვიდო თავი, როცა ცუდად ხარ... ყველაზე მთავარი ამ დროს რწმენაა. უპირველეს ყოვლისა, უნდა იწამო, რომ ამ ყველაფრის გადალახვას შეძლებ. აუცილებელია მიზანდასახული იყო, სულ უნდა იმეორო, რომ შეგიძლია! ძლიერი ხარ! უნდა გაუძლო! უნდა დაამარცხო დაავადება!

**შეგცვალათ ამ სირთულეებმა?**

- კი... შემცვალა უკეთესობისკენ, უფრო მეტად შემავარა სიცოცხლე და ადამიანების პატივისცემაც მეტად მასწავლა. **როდის წავიდა პროცესი უკეთესობისკენ?**

- როცა მესამე ქიმიოთერაპია დავასრულე. მეოთხე ქიმიოთერაპიაზე მისულმა, ჩემს ექიმს ვუთხარი, რომ სიმსივნე აღარ მქონდა მკერდში, ვეღარ ვგრძობდი მას და მკურნალობის შეწყვეტა მსურდა. ამას არ ელოდა, რადგან საკმაოდ მძიმე დიაგნოზი მქონდა. მასხვს, ფეხზე წამოვდგა და ჩამეხუტა - რას მეუბნები, მაია, მართლა ასეაო? კი, ასეა-მეთქი. მკურნალობა, მაინც უნდა დავასრულოთო. მისი გაბრწყინებული სახე დღემდე თვალწინ

მიდგას.

**თქვენმა ოჯახმა როგორ გამოიარა ეს სირთულე?**

- ჩემი ოჯახი მაქსიმალურად დამიდა გვერდით. ყოველთვის, ყოველწამიერად ვგრძნობდი სიყვარულსა და სიბოძს, იმას, რომ მათთვის ძვირფასი ვიყავი და ვჭირდებოდი. მამხსენებდნენ, მანუგებდნენ, რომ არასოდეს დამეყარა ფარ-ხმალი.

**პროფესიული თვალსაზრისით რა ხდებოდა?**

- დიასახლისი ვარ. მოგეხსენებათ, სახლშიც საკმაოდ ბევრი საქმეა, მით უმეტეს, როცა ორი შვილის დედა ხარ. იმ სირთულეების მიუხედავად, რისი გადატანაც მიწევდა, ყველა საოჯახო საქმეს ვაკეთებდი. ვირუსი რომ შეგვეყრება და არ გვინდა, ჩავწვეთ, უფრო რომ არ მივეჩვენოთ ლოგინს - ანალოგიურად ვიყავი. დაწოლის შემდეგ უფრო მიჭირდა ადგომა, ამიტომ არ დავხდებოდი, არ ჩავწექი.

**დღეს რა რეჟიმში მიდის თქვენი ცხოვრება?**

- ჩვეული რიტმით ვცხოვრობ, მივყვები დინებას, არაფერი მაქვს აკრძალული, ვარ სრულიად ჯანმრთელი. მხოლოდ სიმძიმის აწევა არ შეიძლება და ამ მხრივ ვუფრთხილდები საკუთარ თავს. მიუხედავად იმისა, რომ სიმსივნე გაქრა, წამლებს, რომლებიც მიფინანსდება, მაინც ყოველდღიურად ვსვამ და მკურნალობას ვაგრძელებ.

**რას ურჩევთ ქალებს, ვინც ახლა გადის იმ რთულ გზას, რაც თქვენ უკვე გაიარეთ?**

- ყველა ქალს ვურჩევ, რომ თუ შენიშნავინ ორგანიზმში რაიმე სახის ცვლილებას, აუცილებლად დროულად მივიდნენ ექიმთან და გამოიკვლიონ. რაც მთავარია, არ შეგეშინდეთ! დროულად აღმოჩენილი ყველა დაავადება განკურნებადი! კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო: როცა ქიმიოთერაპია დავიწყე და თმის ცვენა დამეწყა, თმა არ შევიჭერი. ძალიან გრძელი თმა მქონდა და დამენანა. ეს გრძელი თმები, წარბები და წამწამები ნელ-ნელა რომ დამცვივდა, საშინელება იყო. ქიმიოთერაპიას რომ იწყებ და დაავადებას ებრძვი, ექიმს უნდა დაუჭირო და თავი ეგრევე გადაიბარსო. როცა დავრწმუნდი, რომ თმა აღარ შემეჩრებოდა თავზე, გადავიპარსე და პარკი მოვირგე. შემდეგ თმა იმაზე უკეთესი და ლამაზი ამოვიდა, ვიდრე აქამდე მქონდა. ახლა თავს ძალიან კარგად ვგრძობ. სიცოცხლე მიხარია. ყოველთვის და ყველგან ვამბობ, რომ ონკოლოგიური კლინიკის საავადმყოფოს არ ვეძახი, ყოველთვის სიხარულით შევდივარ, რადგან იქ ჩემი მეორე ოჯახია! ძალიან მადლიერი ვარ მათი!

## კანონი დამტკიცებულია, საზოგადოების აზრი კი ორად გაყოფილი

მე-2 გვერდიდან

ქვეყანაში დაწყებულია შეუქცევადი ანტირუსული პროტესტი, რომელსაც ძალადობრივი გზით ებრძვის ხელისუფლება, თუმცა ამ ძალადობით და სატელეფონო გინებებით მუხტს უფრო აძლიერებენ. როგორ ეტყობა სახელისუფლებო ელიტას, რომ მიტინგზე და ოპოზიციის არასოდეს არიან ნამყოფები. მათ არ იციან გაბრაზებული დემონსტრანტის ფსიქოლოგია. ზუსტად ამ მასობრივმა ძალადობამ, სახლთან დახვედრებმა, სატელეფონო მუქარებმა და დაშინების მცდელობამ გამოიწვია ის შედეგი, რომ ამ ხალხს გაუჩნდა განცდა, თუ ამ რეჟიმს დროულად არ დავასრულებთ, ამ ძალადობაში და შიშში მოგვიწევს მთელი ცხოვრების გატარება. ამას მოჰყვა ქართული საზოგადოებისთვის სრულიად უჩვეულო, სტუდენტთა მასობრივი გაფიცვა, რასაც აუცილებლად მოჰყვება ივანიშვილის ხელისუფლების გარდაუვალი კრახი, რადგან მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, სადაც გაბრაზებულ სტუდენტ ახალგაზრდებს რაიმე ძალა დაუპირისპირდა. - ამ პოზიციის ინარჩუნებას პარტია „დროს“ აჭარბის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გენრი დოლიძე.

ივ მტკიცედ იცავს საქართველოს მომავალს, არჩევანს აუცილებლად გააკეთებს ევროპაზე. ივანიშვილმა და „ქართულმა ოცნებამ“ ეს ბრძოლა უკვე წააგო. რაც შეეხება სტუდენტებისა და მოსწავლეების გაფიცვას, ეს მხოლოდ ერთი რამის დასტურია - ეს თაობა არ



დაუშვებს საქართველოს გარუსებას. დღეს ყველა დგას საქართველოს უკეთესი მომავლის სადარაჯოზე. „ქართულ ოცნებას“ უნდა, დაგვაჭეროს, რომ არსებობს ორი მხარე, ორი ბანაკი, მაგრამ ეს არის ტყუილი! - გვითხრა არჩილ ბერიძემ.

არც უცხოელი პარტნიორები გვანატრებენ თავიანთ შეხედულებებს ამ თემაზე. რამდენიმე დღის წინ გვსტუმრობდა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს ო'ბრაიენი, რომელიც მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად არასამთავრობო სექტორის

შეხვდა. მისი თქმით, კანონში ისეთი ცვლილებები შესატანი, რომლებიც ევროკავშირის ნორმებს დაახლოებს, სხვა შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენლებს სანქციები გაიკრძალებოდათ, თუმცა როგორც მმართველი

დაკავშირებით შეხვდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძეს. პრემიერის თქმით, მასთან შეხვედრისას არაფერი თქმულა მმართველი გუნდის წარმომადგენლებისთვის სანქციების დაკისრებაზე, თუმცა ბრაიენმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ შესაძლოა დაწესდეს სანქციები. ირაკლი კობახიძემ ჯიმ ო'ბრაიენს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების საჭიროება განუმატრა - გამოთქვა მზაობა, ვეტოს პროცედურის ფარგლებში საერთაშორისო პარტნიორების ყველა სამართლებრივი შენიშვნა ყურადღებით განიხილოს. მან აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ საქართველო მიიწევს ევროკავშირისკენ, რადგან ჩვენი მომავალი ევროპაშია.

როგორც ჩანს, კანონის მიღებით ჯერ არაფერი დასრულებულა და პოლიტიკურად ცხელი დღეები კვლავაც გველოდება. წინ ვეტოს დაძლევის პროცესია, რომელსაც პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, დიდი ალბათობით, კანონს მალე დაადებს. თუ საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან შეთანხმებას ვერ მიაღწევს, დასავლეთის პოზიციის გაცხადებით მკაცრი იქნება, რაც სამოქალაქო პროტესტს კი არ შეანელებს, არამედ გააძლიერებს. მოქალაქეები დაიღვინებენ თუ არა? ამას მათი ქმედებით დადინებაზე. სტუდენტების რაოდენობა აქციების მსვლელობისას შემცირდება თუ არა? ამას საზაფხულო არდადეგები გვარჩვენებს. ისლა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას თვალი მივადევნოთ.




# გემის პირველი ქართველი მექანიკოსი ქალი

თამარ ლამაზაძე 595 85 80 06


არსებობს საქმე, რომელიც ქალისთვის ერთი შეხედვით შეუძლებელია, მაგრამ თუ გადავხედვით ფაქტებს და „სუსტი“ სქესის მიღწევებს, ამ მოსაზრებაში ნამდვილად შევიტანთ ეჭვს. მინდა, გავაცნოთ გემის პირველი ქართველი მექანიკოსი ქალი (ფშვიდან) **მარი გურბენიშვილი**, რომელმაც გადალახა ყველა სირთულე და საკუთარ ოცნებაზე უარი არ თქვა. იგი გემის მამრობითი სქესის არცერთ მექანიკოსს არ ჩამორჩება და სირთულეების მიუხედავად, ნებისმიერ დავალებას ხარვეზის გარეშე ასრულებს.

**- ბავშვობის ოცნება რეალურად აქციეთ. თქვენი გზა გემის მექანიკოსობამდე...**

- მეზღვაურის პროფესია იმიტომ ავირჩიე, რომ ოჯახის წევრი მყავს ზღვაოსანი და როცა ის თავისი პროფესიის შესახებ მიყვებოდა, დიდი ინტერესი მიჩნდებოდა ამ საქმის მიმართ. დაახლოებით 13 წლის ასაკში გადავწყვიტე, ამ საქმისთვის მომეკიდა ხელი. დავიწყე იმ ვიდეოების ყურება, სადაც ჩანდა, რა ხდებოდა გემზე, რათა გამეგო, როგორ მუშაობდა ძრავები. თავიდან არ ვიცოდი, თუ არსებობდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია, რის გამოც ჩავაბარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე. მეორე კურსის პირველი სემესტრის ბოლოს შევიტყვე, რომ არსებობდა ეს აკადემია და, ამავდროულად, გამოცხადებული იყო მობილობაც. არც დაგვჭირებულვარ, ისე შევიტანე განაცხადი



ბათ, ყველას ცხოვრებაში არსებობს ასეთი დამატებითი ეკიდებიან და სტიმულს მძლევენ. თავიდან ზოგიერთს ეგონა, რომ ვერ



- ახალი დღე ახალი გამოწვევებით არის სავსე. მოგეხსენებათ, სამანქანო თითოეული დანადგარი მუდმივად მუშაობს, რის გამოც თავს იჩენს ხარვეზები და მექანიკოსებს გვიწევს ამ სირთულეების გადალახვა. მეზღვაურის პროფესიაში მთავარია საქმის სიყვარული, მოთმინების უნარი, ამტანობა და სიძლიერე.

**|| არ უნდოდათ ჩემი აყვანა, რადგან ქალი ვიყავი. ზოგიერთ გემზე პერსონალი ამბობდა უარს, ზოგან კი დაკონტაქტების შემდეგ საერთოდაც აღარ მიბარებდნენ. მიგხვდით, რომ საქართველოში არაფერი გამოდიოდა და წავედი თურქეთში, რამდენიმე კომპანიაში მივედი გასაუბრებაზე. ერთ-ერთში მითხრეს სიტყვები, რომლებიც არასდროს დამავიწყდება:**

**- „ამ სფეროში მომავალი არ გაქვს, შეეშვი და სხვა პროფესიას მოჰკიდე ხელი“**

მობილობაზე და სწავლა დავიწყე ამ აკადემიის გემის მექანიკოსის ფაკულტეტზე. მესამე კურსის მეორე სემესტრში გემზე წავედი სტაჟიორად, სადაც 3 თვე გავჩერდი. მეოთხე

**- ქალ მეზღვაურებს პროფესიაში ალბათ გზვდებთ გარკვეული ბარიერები. თქვენს შემთხვევაში რას გადააწყდით ამ ბარიერების გამო?**

გავწვდებოდი საქმეს, მაგრამ საქმით დავამტკიცე, რომ ასე არაა.

**- ვისგან გრძობთ განსაკუთრებულ თანადგომას გემზე ყოფნისას?**

- იმ მეზღვაურებისგან, რომლებიც უკვე დიდი ხანია არიან ამ პროფესიაში, ახალი თაობის მეზღვაურებს ეგონათ, რომ ვერ შევძლებდი.

**- როგორ გაიხსენებთ თქვენს პირველ შორეულ ნაოსნობას?**

- ახლაც მეღიმიება, რომ მახსენდება ჩემი გემზე ასვლის პირველი დღე. ძალიან მეშინოდა არა იმის, რომ შორს და უცხო გარემოში ვიყავი, არამედ იმის, რომ ვერ გავუძლებდი გემზე არსებულ სირთულეებს, თუმცა ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და უძლებს.

**- გქონიათ თუ არა სახიფათო შემთხვევა გემზე?**

- ასეთად შტორმი მახსენდება. ყველა მეზღვაურს ერთხელ მაინც უნახავს შტორმი და უგრძნია ადრენალინი და შიში.

**- თქვენი საქმის კეთება სიყვარულის გარეშე შეუძლებლად მიგჩნიათ?**

- ნამდვილად, შეუძლებელია უსიყვარულოდ ამ საქმის გაკეთება. ადამიანს ეს პროფესია თუ არ უყვარს, უბრალოდ, ვერ გაუძლებს მის სირთულეებს. არ მესმის, როცა ამბობენ, რომ სძულთ ეს პროფესია, მაგრამ მაინც ზღვაოსნები არიან.

**- ზოგადად, რა სირთულეებთან არის დაკავშირებული თქვენი პროფესია და რა არის მთავარი, რომ წარმატებას მიაღწიო?**

**- დასაქმების მხრივ თუ გქონიათ რაიმე სირთულე?**

- დიახ, მქონია. არ უნდოდათ ჩემი აყვანა, რადგან ქალი ვიყავი. ზოგიერთ გემზე პერსონალი ამბობდა უარს, ზოგან კი დაკონტაქტების შემდეგ საერთოდაც აღარ მიბარებდნენ. მიგხვდით, რომ საქართველოში არაფერი გამოდიოდა და წავედი თურქეთში, რამდენიმე კომპანიაში მივედი გასაუბრებაზე. ერთ-ერთში მითხრეს სიტყვები, რომლებიც არასდროს დამავიწყდება: - „ამ სფეროში მომავალი არ გაქვს, შეეშვი და სხვა პროფესიას მოჰკიდე ხელი“. შემდეგ მივედი კომპანიაში, სადაც დღეს ვმუშაობ. მისვლისთანავე მკითხეს, მზად ვიყავი თუ არა ზღვაში წასასვლელად. იმ დღის შემდეგ სხვაგან აღარსად წავსულვარ შემოთავაზებების მიუხედავად.

**- რა გენატრებათ ყველაზე მეტად გემზე ყოფნის დროს?**

- ბანალურად ვიტყვი, ახლობლები და მათთან გატარებული დრო.

**- ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ არსებობს ქალის და მამაკაცის პროფესიები და მეზღვაურობა მამაკაცის პროფესიად ითვლება. რას ეტყობით ასეთ ადამიანებს?**

- არ არსებობს ქალისა და მამაკაცის სფეროები. არავის დაუწერია, რომ მეზღვაურის პროფესია მხოლოდ კაცებისთვისაა. უმჯობესია, შეეგუონ ფაქტს, რომ დღითი დღე იზრდება იმ ქალთა რიცხვი, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ და ასე ვამსხვრევთ ამ სტერეოტიპებს.

**- ძირითადად, რა რეაქციები აქვთ, როდესაც იგებენ, რომ მეზღვაური ხართ?**

- თან უკვირთ, თან უხარიათ. ბევრი ამაყობს ჩემი გადაწყვეტილებით, ზოგი კი მეუბნება, რომ ქალი ვარ და ეს პროფესია არ მიხდება. ჩემი მიზანია, მთავარი მექანიკოსი გავხდე და რადაც უნდა დამიჯდეს, ამ მიზანს მივალწევ.



კურსის მეორე სემესტრში ისევ მომიწია წასვლა სამი თვით და ამით დავასრულე სტაჟიორების ექვსთვიანი პერიოდი. აკადემიის დასრულების შემდეგ ავიღე მესამე მექანიკოსის დიპლომი და უკვე ნახევარ წელზე მეტია, რაც გემზე ვარ, უდიდესი სიყვარულით ვაკეთებ ჩემს საოცნებო საქმეს.

**- ძალიან საბასუსისმგებლო საქმე გაკისრიათ. სწორედ თქვენზეა დამოკიდებული, გავა თუ არა თვეობით გემი ზღვაში... არ გავიჭირდათ ამხელა პასუხისმგებლობის აღება?**

- სხვათა შორის, ძალიან მეშინოდა გემზე წასვლამდე სწორედ ამ პასუხისმგებლობის, თითოეული ნაბიჯი გააზრებულად უნდა გადამედეგა. გემზე ამოსვლის დღიდან გემის პერსონალი მესმარებოდა ამ სტრესის გადალახვაში და გავთავისუფლდი კიდევ მისგან. ალ-

- ასე გამოკვეთილად ვერ ვიტყვი, მაგრამ ალბათ უფრო უნდობლობის ფაქტორია ბარიერი, იმიტომ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელი ვარ.

**- როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას ოჯახის წევრები და ახლობლები?**

- გაუკვირდათ ჩემი არჩევანი. ისინი თვლიდნენ, რომ მოდელის პროფესია უფრო შემეფერებოდა, ვიდრე მეზღვაურის, მაგრამ მაინც ყველანაირად გვერდით დამიდგნენ და დღესაც მამხნევენ.

**- ფაქტია, სტერეოტიპს ამსხვრევთ...**

- დიახ, სტერეოტიპია, რომ გემზე ქალის ადგილი არ არის, თუმცა ფაქტი ჭიუტია. ქალური და მამაკაცური პროფესიები არ არსებობს. მეზღვაურები ჩემს გადაწყვეტილებას





# ბათუმელ მოსწავლეთა სპექტაკლი თბილისელთა ნახეს

მანანა შიშინაძე 598 24 94 97

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მცირე სკენაზე მაყურებლის წინაშე ბათუმის სკოლა „ვერო-2000“-ის თეატრალური დასი „სახელოვანი“ სპექტაკლი „მზის დაბნელება საქართველოში“ წარსდგა. ეს სპექტაკლი საყმაწვილო, სასკოლო თეატრალური დასების ფესტივალზე „პირველი ავტორაფი“ საუკეთესოდ დასახელდა.

„პირველი ავტორაფი“ ორი წლის წინ ბათუმში დაფუძნდა. იგი ყოველწლიურია და მასში ათეულობით სასკოლო თეატრალური დასი მონაწილეობს, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორია შემოქმედებითი ორგანიზაცია ა(ა)იპ „არტ პორტალი“ (დირექტორი - მიხეილ ვაბაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი - პეტრე ჩარგვიანი), ფინანსური მხარდაჭერები - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ქალაქ ბათუმის მერია. ფესტივალს კვალიფიციური ყიური აფასებს, საუკეთესოდ სპექტაკლს კი თბილისში წარადგენენ.

ასე იყო წელსაც. გასტროლი დედაქალაქში მთლიანად უზრუნველყო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ.

„ზურაბ ანტონოვის სპექტაკლის „მზის დაბნელება საქართველოში“ რეჟისორია ირაკლი ჭინჭარაძე, რეჟისორის ასისტენტი - სოფიო დუმბაძე. სცენოგრაფია თამარ ხოფერიას ეკუთვნის, ტექნიკური რეჟისორებია ნიცა თავაძე და კესარია დავლაშვილი. მონაწილეობენ: არჩილ ჭაიანი, ნიცა თავაძე, ეთუკა ბერიძე, ალექსანდრე გვარამიანი, ირინე დავლაშვილი, სესილი თედორაძე, მარიამ ჭანტურია, ალექსანდრე დიასამიძე, ნინო ცეცხლაძე, საბა ფიცხალაიშვილი.

სპექტაკლი მოგვითხრობს მე-19 საუკუნის თბილისის შესახებ, სადაც მოვლენები გავრცელებული ჭირის მიხედვით ვითარდება. სპექტაკლში გამოყენებულია ეპიზოდები სპექტაკლებიდან „მეყრა“, „გაყრა“, „ქეთო და კოტი“. ვოდევილში ვიქტორ დოლიძის, არჩილ კერესელიძის, ალექსანდრე ბასილასა და რუსუდანი მორჩილიძის ნაწარმოებები უყვართ. სპექტაკლი დედაქალაქის მაყურებელმა გულთბილად მიიღო.



# „მმართველ ქალას უჭირს საბაროო კოლიტიკური რისკების სათანადო შეფასება“

მე-3 გვერდიდან

**როგორც ევროპარლამენტარების, ისე ამერიკელი სენატორების მიმართვა საქართველოს ხელისუფლებისადმი სახიფათო გზავნილებს შეიცავს. რას უნდა ველოდეთ?**

აღნიშნული იყო შეცდომა არა მხოლოდ შიდა, არამედ საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისითაც. ზოგადად, ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ ქართულ დიპლომატიას აკლია პროაქტიულობა. ის თითქმის არასდროს სთავაზობს პარტნიორებს თანამშრომლობის დამოუკიდებელ დღის წესრიგს, არ ესაუბრება მათ, არ ესაუბრება საკუთარ და საერთაშორისო საზოგადოებას. აქ აღსანიშნავია ის, რომ დიპლომატიის არ გველსხმობ მხოლოდ დიპლომატიურ სამსახურს, არამედ ყველას, ვინც ქვეყანას წარმოადგენს საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე. საქართველოში მყოფ უმაღლესი თანამდებობის პირებს უნდა ესმოდათ, რომ დიპლომატიები არ არიან სასწაულმოქმედნი, რომ, მათი გაუგებარი რიტორიკის ფონზე, პარტნიორებთან შეძლონ ახლო კონტაქტების შენარჩუნება, შედეგად კი ბოლო წლებში განმავლობაში მივიღეთ მდგომარეობამდე, სადაც ჩვენი არ ეშინიათ მტრებს, არ გვენდობიან მოკავშირეები, ხოლო, საბოლოოდ, ვიდრე პარტნიორებისგან გაუცხოების დრამატულ მასშტაბებს, რაც შესაძლოა, ქვეყანას ძალიან ძვირად დაუჯდეს. ყველა პოლიტიკურ ქალას, მმართველსაც და ოპოზიციურსაც, კარგად უნდა ესმოდა, რომ ქვეყნის წინაშე არსებული საგარეო საფრთხეები არსებობს ობიექტურად, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ არის ქვეყნის სათავეში. მარტივად რომ ვთქვათ, რუსეთის ფედერაცია საქართველოს განხილავს ტერიტორიულ დანაკარგად, ახორციელებს ქვეყნის 20%-ის ოკუპაციას, ხელს უწყობს ოკუპირებულ რეგიონებში ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ფაშისტური პოლიტიკის გატარებას და ეს არის გამოწვევა „ქართული ოცნებისთვისაც“, „გერჩისთვისაც“, „ლელოსთვისაც“ და პარტიისთვის „ზედადის გზა“, უფლის სახელით“. ამდენად, მმართველ გუნდს, სანამ შემოიტანდა აღნიშნულ კანონპროექტს, უნდა შეეფასებინა შესაძლო საერთაშორისო რეზონანსი, სულ მცირე, გაეგოთ წინასწარი კონსულტაციები ქვეყანაში არსებულ პროფესიულ და აკადემიურ წრეებთან (ეს ცუდი არც კანონის შინაარსზე მუშაობის პროცესში იქნებოდა), ესაუბრა პარტნიორებთან თავის შესახებ და წუხილებზე, ასევე, წარმოედგინა საერთაშორისო ვალდებულებებისადმი ერთგულების მყარი გარანტიები, თუმცა, როგორც ჩანს, მოქმედი პრემიერი სათანადოდ არ აფასებს ქვეყნის გარემოში მიმდინარე პროცესებს და გადაწყვიტა, რომ ეს ყველაფერი,

უბრალოდ, სახელმწიფოს შიდა საქმეა. კი, ბატონო, შესაძლოა ამ კანონის მიღება-არმიღება შიდა საქმეა, მაგრამ სხვა ქვეყნების მიერ საქართველოსთან, ამ შემთხვევაში, პარტნიორების ვალდებულება ასევე არის ამ ქვეყნების დისკრეციული უფლება, სწორედ ამიტომ მა მნიშვნელოვანი კომუნიკაცია. როგორც ჩანს, პრემიერი ვერც იმ ქვეყნის შესაძლებლობებს და მასშტაბებს აფასებს, რომელსაც მართავს, რადგან მისი ბოლო განცხადებები, დასავლელი ლიდერების შემოფთვების პასუხად, არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მმართველ გუნდში ბოლომდე აქვთ გააზრებული საკითხის სერიოზულობა. მაგალითად, არ მახსენდება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის და ირანის ისლამური რესპუბლიკის ლიდერებს, დასავლეთთან დაპირისპირებულ სუბერ და რეგიონული ძალების წარმომადგენლებს ქონდეთ იმ ტიპის ტოქსიკური და მტრული რიტორიკა აშშ-ის და ევროკავშირის მიმართ, როგორც საქართველოს მმართველი გუნდის წარმომადგენლებს. სწორედ ქვეყნის შიგნით არსებული შეშფოთება და საზოგადოების მდღევანდელი რამდენიმე დეკლარირებული და საზოგადოების დიდი უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი საგარეო პოლიტიკური, ასევე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების კურსის რევიზია, ერთობლიობაში ტოქსიკური რიტორიკისა და ქმნის იმ საერთაშორისო პოლიტიკურ მოცემულობას, რომლის წინაშეც დგას საქართველო. ამ ყველაფერს აუცილებლად ექნება საკმაოდ ნეგატიური შედეგები და უარყოფითად აისახება როგორც ქვეყნის უსაფრთხოებაზე, ისე მმართველი ძალის ცალკეული წევრების კეთილდღეობაზე. ამდენად, თუნდაც საქართველო რეალურად ახდენდეს საგარეო პოლიტიკური ვექტივების ცვლილებას და გადაადიდეს მულტივექტორული დიპლომატიის ან უახლოვდებოდეს ძალის რომელიმე სხვა დიდ ცენტრს, ხიდების დაწვა ძალებთან, ვისთანაც თითქმის 30 წელია გვაქვს ურთიერთობის პოზიტიური დინამიკა, არის უკიდურესად დამაზიანებელი საქართველოსთვის.

**მმართველი პარტიის წევრების განცხადებით, ევროპარლამენტის რეზოლუცია შურისძიება საქართველოს ხელისუფლებაზე იმის გამო, რომ მეორე ფრონტი არ გახსნა...**

აღნიშნულ ფონზე იმის მტკიცება, რომ ევროპარლამენტის რეზოლუცია შურისძიება საქართველოზე, მგონია, მიუთითებს მმართველი პოლიტიკური ძალის უკიდურეს ჩაკეტილობაზე. აღნიშნული პროფესიულ წრეებში აღიქმება როგორც ერთგვარი კონსპირაციული თეორია იმავე სერიიდან, სადა

აც საქართველოში გლობალური ომის პარტია აწყობს რევოლუციას. ასეთ სერიოზულ განცხადებას სჭირდება ან უტყუარი მტკიცებულება, ან უნდა შეგვეფთოთ იმ აზრს, რომ საერთაშორისო პრესტიჟსა და იმიჯს გავინადგურებთ. ნამდვილად არ მინდა, რომ ჩემი ქვეყნის ხელისუფალს, ვინც არ უნდა იყოს ის, საერთაშორისო ფორუმებზე თავს არიდებდნენ როგორც კონსპიროლოგს, ამიტომ კარგი იქნება, თუ განგვანათლებს თუნდაც ბატონი პრემიერი, ან საგარეო საქმეთა მინისტრი, ან პარლამენტის სპიკერი და გვეტყვის, კონკრეტულად ევროკავშირიდან ვინ და რა ფორმით მოითხოვს საქართველოს ჩართვა რუსეთ-უკრაინის ომში და როგორ იყო მათი წარმოდგენა საქართველოს როლის შესახებ, რა გარდატეხა უნდა შეგვეტანა საბრძოლო მოქმედებათა თეატრში, რომელზეც მობილიზებულია მილიონამდე ჩარისკაცი. რას ითხოვდნენ ჩვენგან? იყო საუბარი საზღვაო ბრძოლებში უკრაინის ფლოტის დახმარებაზე ჩვენი არარსებული ფლოტი? იქნებ, ჩვენი რამდენიმე მოიერიშე თვითმფრინავისგან ჰქონდათ იმის იმედი, რომ უკრაინის ცაში გარდატეხას შევიტანდით? ან, იქნებ, იმას ელოდნენ, რომ ჩვენი არმია მთელი 20-30 ათასი მებრძოლით კავკასიას მოწყვეტდა რუსეთს? ანუ მტკიცება რაღაც რაციონალურს ხომ უნდა ეფუძნებოდეს? ან, იქნებ, ის განგვიმარტონ, ვინ არის გლობალური ომის პარტია, საიდან იმართება და ვინ არის ლიდერი? აღნიშნული, შესაძლოა, არ მომხდარიყო, ქვეყანას კონცეპტუალური რევიზია რომ ჰქონდეს უსაფრთხოების რისკები და გამოწვევები, თუმცა იმის ფონზე, რომ ჩვენ საერთოდ არ გვაქვს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, არ მიკვირს, მმართველ ძალას საგარეო პოლიტიკური რისკების სათანადო შეფასება რომ უჭირს. და არა მხოლოდ საგარეო, მიმდინარე პროცესებში კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ რამდენად დაუცველია ქვეყანა. ერთი მხრივ, ჩვენ ვნახეთ ინტერნეტში გავრცელებული პერსონალური ინფორმაცია ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების შესახებ. ჩემი აზრით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პირადი ტელეფონის ნომერი არ უნდა იყოს ასე მარტივად გავრცელებადი. ქალაქის მერმა თავად დაადასტურა, რომ მას მოუწია ტელეფონის ნომრის შეცვლა. ასევე, ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ ვერ ან არ შეძლო სპექტაკლის უსაფრთხოების დანაყოფის იმ მებრძოლთა იდენტიფიცირება, ვისი მხრიდან ძალის გადაშტეტების კადრებიც ვიხილეთ, ვერც იმ „ზონდირჯუფების“ იდენტიფიცირება, რომლებიც თუნდაც გმირთა მოედანზე გაუსწორდნენ მამაკაცს არასრულწლოვანი შვილის წინ. სამაგიეროდ, ვნახეთ, რომ

ამ ადამიანთა იდენტიფიცირება შეძლეს კერძო პირებმა და მათი პერსონალური ინფორმაცია ასევე გავრცელდა. აქ გვაქვს ერთდროულად ორი პრობლემა - სახელმწიფოს უმოქმედობის და მონაცემთა დაცვის. ამის შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს ემოქმედა სამართლებრივ ჩარჩოებში, ვნახეთ წარმოუდგენელი აბსურდის თეატრი, დაწყებული მასობრივი სატელეფონო ხულიგნობით, დამთავრებული კრიმინალური ჯგუფების მიერ სამოქალაქო აქტივისტებისა და ოპოზიციური პარტიის ლიდერების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებით. თუ ამ ყველაფერს უშვებს სახელმწიფო, ესე იგი, უბრალოდ, უარს ამბობს თავის მთავარ ფუნქციას, ლეგიტიმურ ძალაზე და ახდენს ამ ექსკლუზიური უფლების დელეგირებას მესამე მხარეზე, ხოლო თუ ამ ყველაფერს აკეთებენ სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად, ესე იგი სახელმწიფო მმართველი რგოლი საერთოდ ვეღარ აკონტროლებს სიტუაციას. ერთიც და მეორეც ნაციონალური უსაფრთხოების თვალსაზრისით საგანგაშოა და საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ვრისკავთ, გადავიტყუოთ არშემდგარ ქვეყნად და არ მგონია, რომელიმე პოლიტიკოსს ჰქონდეს ინტერესი, მართოს სახელმწიფოს ნარჩენები, სადაც როგორც საზოგადოების დანარჩენი წევრების, ისე მათი უსაფრთხოება იქნება სერიოზული კითხვის ქვეშ. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, მოქმედმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, შემდეგ კი ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა გადაადგან ნაბიჯები პროცესების დეესკალაციისკენ, შეთანხმდნენ თამაშის წესებზე და შეასრულონ აღნიშნული შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოს ფრაგმენტაციამ შესაძლოა შეუქცევადი ხასიათი მიიღოს, რაზე პასუხისმგებელიც, პირველ რიგში, იქნება გადაწყვეტილების მიმღები.

**საგარეო საკითხსაც შეგვხვთ: რა გავლენა ექნება რუსეთ-უკრაინის ომის შედეგებს ევროპაში, მათ შორის, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მთავრობებზე?**

უკრაინის ომს რაც შეეხება, მის შედეგებზე საუბარი ამ ეტაპზე ნაადრევია, რადგან ჯერჯერობით ორივე მხარეს აქვს რუსეთის ომის გასაგრძელებლად. ერთი, რისი თქმაც დანამდვილებით შეიძლება ისაა, რომ როგორც არ უნდა დასრულდეს ეს ომი, მისი შემდეგი მსოფლიო კიდევ ერთხელ იქნება ბიპოლარული, ხოლო მოსკოვი, უკრაინის მთელი ტერიტორიის ანექსიის პირობებშიც კი, ვერ იქნება ძალის ახალი ცენტრი. ორი წარმმართველი ძალა იქნება - ვაშინგტონი (აშშ) და ბეიჯინგი (ჩინეთი).

<p><b>მთავარი რედაქტორი</b></p> <p><b>მარიანა მითაიშვილი</b></p>	<p><b>გამომცემი რედაქტორი</b></p> <p><b>ირმა შერვაშიძე</b></p> <p><b>ლიტერატურული რედაქტორი</b></p> <p><b>ეთერ სომარიკი</b></p>	<p>რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარედაქციო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.</p> <p><b>R</b> ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რედაქციის უფლებით.</p> <p>რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.</p>	<p><b>გამომცემი - შპს</b></p> <p>«ბანკიი აჭარა ლა ალპარია»</p> <p><b>კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი»</b></p> <p><b>მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშვილის ქ. №3</b></p>	<p><b>მისამართი: 6000, ბათუმი, ბრიგადადროს ქ. №2</b></p> <p><b>ტელ: 27-13-31</b></p> <p><b>აიწყო და აკაპალონა</b></p> <p><b>გაზეთი აჭარის კომ. ცენტრი</b></p> <p><b>დასაბავლად ხელმოწერილია 16/05/24, 18 სთ.</b></p>	<p><b>დირექტორი</b></p> <p><b>გამუკა პერიკი</b></p>
--	---	---	---	--	---



# დოკუმენტური ფილმი ანსამბლ „ორნანო“

კინოთეატრ „აპოლონი“ ანსამბლ „ორნანოს“ შესახებ მომზადებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა. წელს ანსამბლს დაარსებიდან 55 წელი შეუსრულდა. ვიდურობოლი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს თავისუფალი პროექტების მხარდაჭერის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის ფარგლებში მისმა ავტორებმა - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წამყვანებმა თეონა ზედანიამ და ილია შავიშვილმა გადაიღეს



ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ორნანო“ 1969 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბდა და მისი დაარსება ალექსანდრე მსხალაძის სახელს უკავშირდება. ალექსანდრე მსხალაძე სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, მათ შორის, ბათუმის პედინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, შემდეგ დაუწყებოთ განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის კათედრაზე. ის ქართულ ენასთან ერთად, მუსიკასა და ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას ასწავლიდა. 1978 წლიდან გარდაცვალებამდე ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სა-მუსიკო სასწავლებლის დირექტორი იყო. გამოკვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია.

რიაში პირველად მოხდა. წარმატება იყო ისიც, რომ საკავშირო ფორმა „მელოდიის“ თბილისის ფილიალმა „ორნანოს“ შესრულებით გრამფირფიტაზე ოთხი აჭარული სიმღერა ჩაწერა. სხვათა შორის, ანსამბლმა პირველმა შესრულა (დღესაც პოპულარობით სარგებლობს) აჭარული სიმღერები: „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, „შოსა“, „ორნანო“, „ზე-მოაჭარული მაყრული“. საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდში“ „ორნანოს“ 11 სიმღერა ინახება.

„ორნანოს“ შექმნის ძირითადი მიზანი ქართული ხალხური სიმღერის პროპაგანდა და პოპულარიზაცია იყო. თავდაპირველად, ანსამბლში სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები შევიდნენ. ანსამბლი მსმენელის წინაშე პირველად სამუსიკო სასწავლებელში წარსდგა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. მოგვიანებით აჭარის პროფკავშირების საოლქო კულტურის სახლს დაუკავშირდა მისი სახელი. პირველ წლებში ანსამბლის რეპერტუარი შერეული იყო და ძირითადად, კომპოზიტორების დამუშავებული ნაწარმოებებისა შედგებოდა, მოგვიანებით კი ხალხური შემოქმედებითი გზა აირჩია.

„ორნანოს“ არაერთი კონცერტი აქვს ჩატარებული სხვადასხვა ქვეყანაში. ანსამბლს უსმენდნენ ამერიკელი, იუგოსლავიელი, ბულგარელი, პოლონელი, გერმანელი, თურქი, სომეხი, ესტონელი, ლენინგრადელი, სხვა ქვეყნისა და ქალაქის მაცხოვრებლები.

მერე იყო პირველი სერიოზული გასტროლი - ანსამბლი 22 დღე ესტონეთში გაემგზავრა და საკმაოდ წარმატებული კონცერტები ჰქონდა. „ორნანო“ პროფკავშირული კოლექტივებისა და ანსამბლების დათვალთვინებზე ყოველთვის გამარჯვებულია შორის იყო. არსებობის ხუთი წლის თავზე აჭარის დამსახურებული ანსამბლის წოდება მიენიჭა, რაც მხატვრული კოლექტივების ისტო-

რიაში განმავლობაში ანსამბლში ცვლილებებიც ხდებოდა, მაგრამ ძირითადი ბირთვი ყოველთვის რჩებოდა. „ორნანოს“ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს: მურმან მახარაძემ (აწ განსვენებული) - ანსამბლის შექმნის ერთ-ერთმა ინიციატორმა, ვოკალის ცნობილმა სპეციალისტმა, ოპერის მომღერლების - ალექო ხომერაძის, ნოდარ ვარშანიძისა და სხვათა აღმზრდელმა, ანზორ ჯაველიძემ - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მხატვარ-არქიტექტორმა, სერგო ჩხარტიშვილმა (აწ განსვენებული) - პროფკავშირების კულტურის სახლის დირექ-

ტორის მოადგილე, დავით ბერიძემ - ცნობილმა ლოტარმა, მრავალი თაობის აღმზრდელმა, ხუსეინ ნემსაძემ (აწ განსვენებული) - მუსიკის ცნობილმა სპეციალისტმა, ოქროპირ მსხალაძემ (აწ განსვენებული) - ალექსანდრე მსხალაძის შვილმა. ასევე უნდა ვახსენოთ საზოგადოებისთვის ცნობილი ხელოვნები, რომლებიც „ორნანოში“ სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ, მათ შორის, თემურ დოლიძე, ნოდარ მაკარაძე, ვიორჯი თავაძე-შვილი, ალექო ხომერაძე, ნოდარ ვარშანიძე, კოლია ჩავლეიშვილი, გულივერ ჭანიშვილი, ბიჭო დიასამიძე, ედნარ გელაძე, ბესიკ ციციავი, ზურაბ შაშიკაძე...

ფილმში მოსმენთ „ორნანოს“ შესახებ სხვადასხვა პიროვნების საინტერესო მოგონებებს...

ფილმი გულთბილად მიიღო მაცხოვრებელმა.

- ამ პროექტით მისი ავტორები ქალაქისთვის, კუთხისთვის დირექტულ ადამიანებს წარმოაჩინენ, რომლებსაც საქმე უფასდებათ და ეს კარგია. როცა „ორნანო“ შეიქმნა, მუსიკალურ სასწავლებელში ვსწავლობდი - ვიცოდი, რომ ისინი ძალიან მნიშვნელოვან საქმეს აკეთებდნენ, მოიძიებდნენ და ალადგენდნენ არაერთ სიმღერას, - გვითხრა მუსიკოსმა ქეთევან მანელიშვილმა.

- ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების ნაწილი უკავშირდება იმ პერიოდს, როცა ალი მსხალაძე იყო სამუსიკო სკოლის დირექ-

ტორი. მას ვუმაღლი იმ სასიკეთო ცვლილებებს, რაც სასწავლებელში განახორციელა როგორც დირექტორმა, მუსიკოსმა, პიროვნებამ. ის გახლდათ საუკეთესო ხელმძღვანელი და მისაბაძი ადამიანი, დიდი პროფესიონალი, უზომოდ შეყვარებული თავის საქმეზე. ამ ფილმის ნახვით ბევრი საინტერესო რამ აღმოვაჩინე, მოვისმინე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სამართლიანად ვცემდი მას პატივს. თურმე რამდენი დირექტორი გაუკეთებია. დიდი მადლობა ილიასა და თეონას, საშუალება რომ მოგვცეს, კიდევ უფრო ღრმად შეგვეფასებინა ამ ადამიანის ღვაწლი არა მარტო ქალაქის, აჭარის, არამედ საქართველოს წინაშე, - თქვა მუსიკოსმა, ბათუმის რეგაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლის დირექტორმა ნატალია ორაგველიძემ.

- ვფიქრობ, ამ ფილმის გადაღებით პროექტის ავტორებმა ძალიან კარგი საქმე გააკეთეს. ისტორია არ უნდა დაიკარგოს, - აღნიშნა ბსუ-ის ლექტორმა, ანსამბლ „ორნანოს“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ზურაბ შაშიკაძემ.

- ასეთი ფილმები ბათუმის წარსულს ინახავს. მსგავსი პროექტები იქმნება და კვლავაც შეიქმნება. ეს არის ამბავი იმისა, თუ საიდან მოდის ქართველი ადამიანი, ქართული კულტურა. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიო და ტელევიზია ყოველთვის დაუჭერს მხარს ასეთ პროექტებს, რათა რაც შეიძლება მეტ ადამიანს გავაცნოთ ამ ხელოვნების მიერ გაკეთებული სასიკეთო საქმეები. არ უნდა დაიკარგოს ის უნიკალური მასალა და თავად ხალხი, რომელიც დღეს ვიხილეთ ამ პატარა დოკუმენტურ ფილმ-ჩანახატში, - გვითხრა საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორმა ლალი ტატიშვილმა.

- ამ ფილმის გადაღება იმიტომ გადაწყვიტეთ, რომ წელს ანსამბლ „ორნანოს“ 55 წელი შეუსრულდა. აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გრანტით უკვე გადაღებულ რამდენიმე ფილმი, მათ შორის „სულიკო ვიორჯაძე“, „იალქანი“, „აბი გლუკოზა“, „ბეთლემი“, „გახტანგ გორდაძე“, „მარიამ ჯახუტაშვილი“, ჯუფი „ქრამი“... ეს ჩვენი მერვე ფილმია. გვიხარია, რომ იგი საზოგადოებამ კარგად მიიღო. ეს შემდგომი მუშაობისთვის დიდი სტიმულია, - გვითხრეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს წამყვანებმა, პროექტის ავტორებმა თეონა ზედანიამ და ილია შავიშვილმა.

# ვინ გაალაგაზა ბათუმის რაბზის სტადიონი?

ამ რამდენიმე დღის წინ დასრულდა ბათუმის რაბზის სტადიონის ექსტერიერის 3D კვადრატული მეტრი ფართობის კედლის მოხატვა, რომლის დღის ორგანიზატორი და მთავარი მხატვარი ბათუმელი იოსებ ჯორბენაძე გახლავთ. მას კარგად იცნობენ ბათუმელები და არა მხოლოდ. ეს ახალგაზრდა ხელოვანი, რამდენიმე წელია, ქალაქის ქუჩებს (უსახურ კედლებს) ალამაზებს. მას უკვე ათობით კედლის მხატვრობა აქვს შესრულებული



კუთრებულს. იოსები არაერთი ქუჩის მხატვრობის პროექტისა თუ ფესტივალის ორგანიზატორია.

რაბზის სტადიონის ექსტერიერის მოხატვა ბათუმის მერიის მხარდაჭერილი პროექტით - „ბათუმური გრაფიტის ვორქშოპი“ გახდა შესაძლებელი. როგორც აღვნიშნეთ, ამ პროექტის ავტორი იოსებ ჯორბენაძეა, მაგრამ კედლის მხატვრობის პროცესში ჩართვის საშუალება სხვა ახალგაზრდებსაც მიეცათ. გარდა იმისა, რომ მათ გამოცდილება მიიღეს, ამავდროულად, ქალაქს კიდევ ერთი

ჩატარებული „სთრით არტის“ თეორიული ლექციებით გრაფიტის ხელოვნების სხვადასხვა დროსა და სივცეში იმოგზაურეს.

„ბათუმური გრაფიტის ვორქშოპი“ აპრილის შუა რიცხვებში დაიწყო და მის პრაქტიკულ ნაწილში, დაინტერესებული ახალგაზრდები მათის დასაწყისამდე აქტიურ რეჟიმში ერთვებოდნენ.

„კულტურა და სპორტი“ - ეს ნამუშევრის კონცეფციის მთავარი შეტყობინებაა, რომელიც პირდაპირ ებრძვის იმ უხამს და ცუდ წარწერებს, რაც ნახატამდე იყო კედლებზე.

მნიშვნელოვანია, რომ ასეთ პროექტებს მხარდაჭერა მუდამ ჰქონდეს, რადგან ადგილობრივი კულტურული და შემოქმედებითი რესურსის მიზანმიმართული გამოყენება, სწორედ მსგავსი პროექტებით ხდება.

ასეთი მხატვრობა მთელ მსოფლიოშია პოპულარული და სასიხარულოა, რომ ჩვენს ქალაქს უკვე საკუთარი ნიჭიერი მხატვარი ჰყავს, რომელსაც არაერთი მიმდევარი გამოუჩნდა.



ლამაზი კედელი შესძინეს, ასევე, ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრის სივრცეში